სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი სამშაბათი 18 ივლისი 2006 №163 (2785) ფასი 50 თეთრი

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ხიზანიშვილის გამოცდილებიდან ფოფხაძის თაობაზე

ბრიტანეთში თამაში ფულითაც შეიძლება

3

დედა, დედა, მარადონა ვნახე!

ტრიო-ინტერვიუ დიეგო მარადონასთან

8



დანტონის ტონი: ნიკა, კიდევ სცადე

ინტერვიუ მაიკ დანტონისთან

13

თავის ჭკვიანის თავგადასავალი



გამოსავალი: თავებმა თავობა თავად ითავონ

როგორც ძველ ოდესაში, დერიბასოვსკაიაზე იტყოდნენ, გორდონ ჰერბერტი თავია, ჯეი ტრაიანოც თავია და ამ ორი თავიდან რომელი უთავკაცებს საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებს, თავად თავები გადაწყვეტენ ერთმანეთში თათბირის შემდეგ. ისე, არც ის გახლავთ გამორიცხული, ჩვენს ნაკრებს ერთბაშად ორი კანადური თავი რომ დაედგას.



თბილისიდან ჭჯიღის ცემით წასულმა ბაკიმ მთელი ბაქო დაქოქა

დღეს სიონს



მძიმე მატჩი ელის

ნალჩიკის სპარტაკის იურისტი ორ წერტილს შორის უმოკლეს მანძილს გვასწავლის



ჩიხრაძის საქმე ვიტალი მუტკოსთან მოაგვარეთ

სკანდალური მარტელი: პალერმო ლანსის შანსია!

იტალიურ სკანდალში ანუ ამღვრეულ სერია A-ში თევზის დაჭერას ლამობს... ფრანგული „ლანსი". იტალიელთა საჩემპიონთალიგო ოთხი ადგილიდან ერთი ჩვენ გვეკუთვნისო, ამტკიცებს ლანსელთა პრეზიდენტი ჟერვის მარტელი. ვერ გეტყვით, ვინ დაარიგა პრეზიდენტი, მაგრამ მისი განკხადება აბსურდულს წააგავს.

„გამოდის, მეხუთე, მეშვიდე და მერვე ადგილზე გასულმა იტალიურმა გუნდებმა ჩემპიონთა ლიგაში უნდა ითამაშონ; მეცხრე, მეათე და მეთერთმეტეზე გასულებმა კი — უეფას თასზე. და ეს მაშინ, როცა საფრანგეთის ჩემპიონატში მეხუთე საფეხურიდან უეფას თასზე თამაშსაც ვერ ეღირსები" — ამბობს მარტელი და „პალერმოს" (მერვეზე გავიდა) ადგილს ითხოვს, რომელსაც „იუვეს", „ფიორენტინასა" და „ლაციოს" დასჯის შედეგად „რომასთან" და „კიევოსთან" ერთად ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ვიზა მისცეს.

არადა, უეფას კანონში გარკვევით წერია, ჩემპიონთა ლიგიდან ამოვარდნილი გუნდები ამავე ქვეყნის გუნდებმა უნდა შეცვალონო, მაგრამ ჟერვის მარტელს ეიმედება, უეფა იტალიური სკანდალის სიდიდეს გაითვალისწინებს და გამონაკლისს დაუშვებსო.

ჩვენი მხრივ კი დავძენთ, რომ გაუგებარია, რატომ უნდა დაუშვან ფრანგული და არა, მაგალითად, პორტუგალიური გუნდი. მოკლედ, მარტელი მარტო არ არის...

ჩემპიონთა ლიგა 2006-2007

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი. დღეს

დღეს ბაქოში საღამოს რვა საათზე ტოფიკ ბახრამოვის სახელობის სტადიონზე ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩში „ბაკი“ ბოლნისის „სიონს“ მასპინძლობს. პირველ შეხვედრაში „სიონმა“ აზერბაიჯანის ჩემპიონს 2:0 მოუგო და შემდეგ ეტაპზე გასვლის რიგიანი შანსი აქვს.

„სიონი“ გუშინ გაემგზავრა ბაქოში თვითმფრინავით და საღამოს „ტოფიკ ბახრამოვზეც“ ივარჯიშებდა. „სიონს“ ყველანი ჯანზე ჰყავს, სავიზო პრობლემები მოუგვარა სამივე კამერუნელ ფეხბურთელს და აზერბაიჯანის ჩემპიონს უდანაკარგოდ ესტუმრება.

და რა ხდება „ბაკის“ ბანაკში? ამის გასაგებად აზერბაიჯანულ სპორტულ გაზეთ „ფუტბოლ+“-ის მიმომხილველ მაჰირ რუსთამლის ვთხოვეთ, ინფორმაცია მოეწოდებინა

ბაკი სიონთან პლაკატებით გავა

გაჯიევმა პირობა დადო: სიონს გავიმარჯვებთ

... ბაქოში ამ მატჩისადმი ინტერესი არცთუ მცირეა. სავარაუდოდ, სტადიონზე 15 000 გულშემატკივარი მივა.

... ორი დღის წინ ჩვენმა გაზეთმა ინტერვიუები ჩამოართვა „სიონის“ მთავარ მწვრთნელ კახა ცხადაძეს და მის თანაშემწე ბადრი კვარაცხელიას. ისინი ამბობენ, „ბაკის“ მთავარმა მწვრთნელმა „სიონს“ შეურაცხყოფა მიაყენა, თქვა, ბოლნისელებმა მსაჯი მოისყიდესო.

... „ბაკი“ ყველანაირად ცდილობს, დაძაბულობა და აგრესია განმუხტოს და „სიონთან“ მატჩზე პლაკატებით გამოვა — ჩვენ მშვიდობა, მეგობრობა და **FAIR PLAY** გვსურს — ასეთი შინაარსის იქნება ეს პლაკატები.

... გუშინ ინტერვიუ ჩამოვართვით „ბაკის“ მთავარ მწვრთნელ ბოიუკაგა გაჯიევს. ის ამბობს, სტუმრებს მეგობრულად უნდა დავხვდეთ, აგრესია და მოედანზე უხეშობა საჭირო არ არის, მეტოქეზე ძლიერები ვართ და უხეში თამაში ხელს არ გვაძლევსო.

... გაჯიევმა ჟურნალისტებს პირობა მოგვცა, შემდეგ ეტაპზე გავალთო. თბილისში უკვე ვნახე მეტოქის ძალა, ხოლო ჩემი ფეხბურთელების შემაროებაში და შესაძლებლობებში ერთხელაც დავრწმუნდი და ასეთ პირობას ყველაფერ ამის გათვალისწინებით ვიძლევიო.

... ითამაშებს თუ არა მეგრელაძე ბაქოში „სიონთან“? გაჯიევმა გვითხრა, მეგრელაძეს მცირე ტრავმა აწუხებს და 80 პროცენტია შანსი მისი „სიონთან“ თამაშის. გაჯიევმა მეგრელაძეზე თქვა, მისი იმედი გვაქვს და ასე რომ არ იყოს, მაშინ რისთვის შევიძენდით მას თბილისის „დინამოდანო“.

... „სიონთან“ პირველ შეხვედრაში „ბაკიდან“ მეორე გაძევებული ასიფ აბაზოვი უეფამ მკაცრად დასაჯა — სამთამაშიანი დისკვალიფიკაცია და ექვსიათასფრანკიანი ჯარიმა.

შეგახსენებთ, რომ ტრავმის გამო ვერ ითამაშებს ალეკო გოგობერიშვილი, ბაქოელებს დისკვალიფიცირებული ჰყავთ წამყვანი ფორვარდი ლეანდრო გომეშიც.

დავით თამგართაძილაძე

ვის დავუჯეროთ?

ბოიუკაგა გაჯიევი მეგრელაძეს აზერბაიჯანულ პურს ამადლის, გერმანელ მსაჯ კინჰოფერს ფამიზმს უსსენებს და ბადრი კვარაცხელიასთან საქმის კაცურად გარკვევას აპირებს



რა განწყობაა „ბაკი“ — „სიონის“ საპასუხო საჩემპიონთალიგო მატჩის წინ? რომელ წყაროს დავუჯეროთ, ნაღდად არ ვიცით: ერთნი ამბობენ, აზერბაიჯანელები მტრულად დახვდებიან ბოლნისელებსო, მეორენი კი მეგობრობაზე და **FAIR PLAY**-ზე ლაპარაკობენ. პირველ შეხვედრაში ორი ბაქოელის გაძევების შემდეგ სიტუაცია მართლაც დაიძაბა და „ბაკის“ თავკაცი ბოიუკაგა გაჯიევი პირდაპირ ამბობს, ჩვენ „სიონთან“ კი არა, მსაჯებთან წავაგეთო...

აი, რას ამბობს გაჯიევი აზერბაიჯანულ გაზეთ „ფუტბოლ + გოლთან“ ინტერვიუში: „პირველი ტაიმი რომ დამთავრდა, მსაჯთან მივედი პრეტენზიების გამოსათქმელად. ამ დროს ჩემთან მოვიდა ბადრი კვარაცხელია, რის შემდეგაც ინციდენტი მოხდა. ეტყობა, კვარაცხელიას თავის გამოჩენა უნდოდა. არა უშავს, ბადრის კიდევ შევხვდები და ყველაფერს კაცურად გავარკვევ...“

გაჯიევი „სიონს“ ლამის მიწასთან ასწორებს, ჩვენზე გაცილებით სუსტი გუნდია, ეგ კი არა, „თურანს“ და „ყარაბახსაც“ მაგრად ჩამორჩებაო. „ერთი წამითაც არ ვფიქრობ გავარდნაზე, ჩვენ აუცილებლად გადავლახავთ „სიონის“ ბარიერს“.

საინტერესოა „ბაკის“ თავკაცის გამონათქვამები თბილისური მატჩის გერმანელ არბიტრ ტორსტენ კინჰოფერზეც: „თამაშის მერე კომისარს და ინსპექტორს ვესაუბრე, ორივემ აღიარა მსაჯის შეცდომები და ოქმშიც ჩაწერეს. მთელი მსოფლიო გერმანელების სამართლიანობაზე და სიზუსტეზე ლაპარაკობს, კინჰოფერი კი, ეტყობა, ფაშისტების კვალს გაჰყვა...“

კიდევ ერთ შეუსაბამობაზე: ამავე გვერდზე, ზედა წერილში, აზერბაიჯანელი ჟურნალისტი გვამცნობს, ბოიუკაგა გაჯიევს გიორგი მეგრელაძის დიდი იმედი აქვს, ტყუილად ხომ არ შეუძენია თბილისის „დინამოდანო“. „ფუტბოლ + გოლში“ კი გაჯიევი, აი, თურმე რას ამბობს...

„მეგრელაძე ჩვენთან ან ითამაშებს, ან არა. „სიონთან“ მატჩის შემდეგ მას სერიოზულად ველაპარაკე. თუ მეგრელაძე აზერბაიჯანულ პურს ჭამს, მაშინ უნდა გააკეთოს ის, რასაც ეუბნებიან — თუ არა და, უკან დაბრუნება მოუწევს. ჩვენ არ გვჭირდება ფეხბურთელი, რომელიც საკუთარ გუნდზე არ ფიქრობს. ამ დროს კი თავდასხმაში გვაკლია ბრაზილიელი ლეანდრო გომეში, რომელიც მაგრად დაგვეხმარებოდა „სიონთან“.

მოკლედ, საღამოც მალე მოვა...

ილია ნანოგაშვილი

ნორვეგია
ტიპელიგა. XIII ტური
ბრანი 2:0 ვიკინგი

ირლანდია
პრემიერდივიზიონი. XVI ტური
შელბურნი 4:1 უოტერფორდი

შვედეთი
ალსვენსკა. X ტური
ჰამარბი 2:0 იოსტერსი
ჰელსინგბორგი 1:3 ჰეკენი

ისლანდია
პრემიერდივიზიონი. XI ტური
რეიკიავიკი — აკრანესი
გვიან დამთავრდა

უნგრეთი
სუპერთასი
ფეჰერვარი 0:1 დებრეცენი

რეკლამა სარგებელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

რა საერთო აქვს რუსეთის პრეზიდენტს ნალჩიკის სპარტაკის მეკარესთან?

ჩიხრაძის ქართველობა რუსეთის ფეხბურთის პირველკაცმა ვიტალი მუტკომ უნდა დაამტკიცოს

ითამაშებს თუ არა ნალჩიკის „სპარტაკის“ მეკარე ალექსანდრე ჩიხრაძე საქართველოს ნაკრებში, ეს საკითხი, შესაძლოა, რუსეთის პრეზიდენტის დონეზე გადაწყდეს. ცხადია, ამბავი, ცოტა არ იყოს, უცნაურია, თუმცა ნალჩიკური კლუბის პრესსამსახურის უფროსსა და იურისტს ვიქტორ შეკემოვს თუ ვერწმუნებით, რუსეთის მოქალაქისთვის მეორე ქვეყნის მოქალაქეობის მიღების საკითხი თურმე სწორედ უმაღლეს დონეზე განიხილება.

საქმის ვითარება ალბათ მოგეხსენებათ: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას სურს, რომ ნალჩიკის „სპარტაკის“ მეკარე ალექსანდრე ჩიხრაძემ ორმაგი მოქალაქეობა მიიღოს და საქართველოს ნაკრებში ითამაშოს. ამ წინადადებაზე თანახმაა თავად ალექსანდრე ჩიხრაძეც, თუმცა ის და მისი კლუბი ჯერჯერობით დარწმუნებული არ არიან, რომ საქართველოს მოქალაქეობის მიღების შემდეგ მეკარე ავტომატურად არ დაკარგავს რუსეთის მოქალაქეობას. ნალჩიკელებმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან ნაირნაირი საგარანტიო წერილები და სხვადასხვა საბუთი მოითხოვეს და, როგორც ჩანს ჩიხრაძის გაქართველების ამბავიც მალევე უნდა მოგვარდეს.

ნალჩიკელთაგან ალექსანდრე ჩიხრაძის მოქალაქეობის საქმე კი სწორედ ვიქტორ შეკემოვს აქვს ჩაბარებული და გუშინ ჩვენც მას დავუკავშირდით...

— როგორც იცით, საქართველოსა და რუსეთს შორის სავიზო რეჟიმია. ეს დამატებითი პრობლემაა. როცა საქართველოს მოქალაქეს სურს, მიიღოს რუსეთის მოქალაქეობა, მან ამ შემთხვევაში უარი უნდა თქვას ქართულ პასპორტზე, მხოლოდ ამ შემთხვევაში მიიღებს ქართველი რუსეთის მოქალაქეობას. როცა პირიქით, რუსს სურს საქართველოს მოქალაქეობა, რამდენადაც ვიცი, სულაც არაა აუცილებელი, მან რუსული პასპორტი დათმოს. მოკლედ, იურიდიულად ჩიხრაძისთვის საქართველოში ორმაგი მოქალაქეობის მიღება შესაძლებელია, თუმცა, ზოგადად, რუსეთის კანონმდებლობით, ორმაგი მოქალაქეობის საკითხი ჩვენთან პრეზიდენტის დონეზეა აყვანილი.

— რა არის საჭირო იმისთვის, რომ ჩიხრაძემ საქართველოს ნაკრებში თამაშის უფლება მიიღოს და თან რუსეთის მოქალაქედ დარჩეს?

— რუსულ ფეხბურთში მსგავსი პრეცედენტი ადრეც ყოფილა. მეკარე ბერეზოვსკი ალბათ იცით, ის რუსეთის მოქალაქეა, რუსეთის ჩემპიონატში თამაშობს და ამავდროულად სომხეთის ნაკრების მეკარეა. როგორც ვიცი, თავის დროზე ბერეზოვსკის პასპორტის საქმე უპრობლემოდ და მალე მოგვარდა. ალექსანდრე ჩიხრაძისთვის ორმაგი მოქალაქეობის მიღება კი იმიტომაც ყოვნდება, რომ არც ფეხბურთელს და არც კლუბს ჯერ არ აქვთ გარანტია იმისა, ქართული პასპორტის აღების შემთხვევაში ჩიხრაძე რუსეთის მოქალაქეობას არ დაკარგავს. მან ქართული ენა კარგად არ იცის და როცა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან საბუთები მივიღეთ, ვერაფერი გაიგო, ვერც ის დარწმუნდა და ვერც ჩვენ, რომ მას რუსეთის მოქალაქეობა შეუნარჩუნდებოდა.

— ახლა ეს საქმე რა სტადიაშია?

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ უნდა მიმართოს რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტ ვიტალი მუტკოს, რომელმაც ოფიციალურად უნდა დაადასტუროს, რომ საქართველოს ნაკრებში თამაშის შემთხვევაში ალექსანდრე ჩიხრაძე რუსეთის ჩემპიონატში ლეგიონერად არ ჩაითვლება. მუტკოს ხელმოწერილი ამ საბუთის ასლი კი ფედერაციამ ჩვენს კლუბს უნდა გამოუგზავნოს. გარდა ამისა, ფედერაციიდან ველით სხვადასხვა ანკეტას, რომლებსაც, ჩვეულებრივ, ორმაგი მოქალაქეობის მიღების მსურველი ავსებს.

— ამ საბუთებს როდის გამოგიგზავნიან?

— ფედერაციის გენმდივან უჩა უგულავას რამდენიმე დღის წინ ვესაუბრე და მითხრა, რომ საჭირო საბუთებს ორშაბათს გამოაგზავნიდნენ. ჩვენ კი ახლა მოსკოვში ვართ, საღამოს ნალჩიკში დავბრუნდებით და ალბათ საბუთები მოსული დაგვხვდება.

— როგორც ვიცით, ჩიხრაძე საბუთების გასაფორმებლად თბილისში 16 ივლისს უნდა ჩამოსულიყო...

— უნდა ჩამოსულიყო, კლუბის ხელმძღვანელობასთან ეს საკითხი შეთანხმებული იყო, მაგრამ გარანტიები არ გვქონდა მიღებული და ასეთ შემთხვევაში ტყუილად გამოუვიდოდა წამოსვლა. „სპარტაკს“ შემდეგი მატჩი 23 ივლისს აქვს და თუ იქამდე საჭირო საბუთები გვექნება, ჩიხრაძეს თბილისში მატჩის შემდეგვე გამოვუშვებთ. ისე კი, ალექსანდრე ჩიხრაძე მართლაც მაღალი დონის მეკარეა. დარწმუნებული ვარ, საქართველოს ნაკრებს ის გამოადგება. ჩიხრაძე დღესდღეობით რუსეთის ჩემპიონატის საუკეთესო მეკარეთა სამეულშია და მისი დიდი დამსახურებაა, ნალჩიკის „სპარტაკი“ ახლა პრემიერლიგის ლიდერი რომ არის.

ჩიხრაძის გაქართველების საქმეს გაგრძელება კიდევ ექნება...

ძოგა ინასარიძე

ხიზანიშვილი გერმანიაში

ბრიტანეთში თამაში ფულითაც შეიძლება

მუნდიალის გამო წლეულს ეროვნული ჩემპიონატები ევროპაში ოდნავ მოგვიანებით იწყება და ასეა ინგლისშიც — იქაურ პრემიერლიგაში მოთამაშე ბლექბერნელ ზურაბ ხიზანიშვილს ინგლისიდან გერმანიაში გამგზავრებამდე შევეხმიანეთ

— შვებულება ხანგრძლივი გამოგივიდა — „ბლექბერნში“ ახლა ალბათ ხელახლა გიწევს ოპტიმალურ ფორმაში შესვლა...

— სეზონი 7 მაისს დაგვიმთავრდა და მოსამზადებელი ეტაპი 5 ივლისს დავიწყეთ. შუალედში სანაკრებო შეკრებაზე ვიყავი გერმანია-ავსტრიაში, თუმც თვენახევარი მაინც მომიწია დასვენებამ. ხომ იცით, თბილისში რა კერძებს ამზადებენ და „ბლექბერნში“ ცოტა წონამომატებული ჩავედი.

— ინგლისში რას ამბობენ მათი ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლაზე?

— ინგლისელები ამბობენ, ჩვენთვის უსიამოვნო სიურპრიზი იყო, ინგლისის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი რომ ვერ გახდაო. მე მათ შეხედულებას არ ვიზიარებ. რაც შეეხება სვენ გორან ერიკსონს, ინგლისურ მედიას მისთვის, როგორც ამბობენ, არ გადაუვლია.

— „ბლექბერნში“ რა ცვლილებებია?

— გუნდიდან წავიდნენ პოლ დიკოვი და კრეიგ ბელამი, მოვიდნენ მათი შემცვლელი ფორვარდები — რობერტსი „უიგანიდან“ და ჯეფერსი „რეინჯერსიდან“. „ბლექბერნი“ კიდევ ერთი შემტევის გადმობირებას ცდილობს — ეგვიპტელი მიდისო „რომადან“.

— უცხოურ შეკრებაზე არ მიდიხართ?

— 20 ივლისს ათი დღით მივდივართ გერმანიაში, მანამდე კი „ბლექბერნის“ ბაზაზე ვართ ორჯერადი ვარჯიშისთვის — პირველი ვარჯიში 11 საათზე გვაქვს, მეორე — 15-ზე და შინ ორი ვარჯიშის შემდეგ ვბრუნდებით.

— 2005-06 წლების პრემიერლიგაში „ბლექბერნი“ მეექვსე ადგილზე გავიდა და ახალ სეზონში ნაკლები შედეგისთვის ალბათ არ იბრძოლებთ...

— ასეა, მაგრამ საამისოდ კიდევ გვჭირდება ახალი ფეხბურთელებით გაძლიერება. უეფას თასზეც მოგვიწევს თამაში, რაც იმას ნიშნავს, რომ უფრო მეტი მატჩი უნდა ჩავატაროთ, უფრო მეტი ტრავმები იქნება და სათადარიგოთა სკამიც უნდა დაგრძელდეს. იმედია, სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე კიდევ დავიმატებთ ფეხბურთელებს.

— ალბათ, იცი, რომ გიორგი ფოფხაძე „ჰართსშია“ გასინჯვაზე და ჰართსელებს მისი დატოვება სურთ — ბრიტანული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ეს რამდენად რეალური გეჩვენება?

— როცა „დანდიში“ გადავდიოდი, ნაკრებში დაახლოებით 30 პროცენტი მქონდა ნათამაშევი, მაგრამ 18 წლის ვიყავი, ანგარიში გამიწიეს და „დანდიმ“ ფინანსური კომპენსაციაც გადაუხადა ბრიტანეთის დასაქმების დეპარტამენტს, რათა ჩემთვის სამუშაო ვიზა მოეცათ. მოკლედ, ფულის გადახდით ამ საქმის მოგვარება შესაძლებელია, თუმც ფულის გარდა სხვა ფაქტორებმაც უნდა იმუშაონ — ფეხბურთელს რამდენიმე მატჩი მაინც უნდა ჰქონდეს ჩატარებული ნაკრებში და პერსპექტიულ ახალგაზრდად უნდა ითვლებოდეს.

დავით თავართქილაძე

ფარერებში როსი განგვსჯის, უკრაინაში — იარა

თბილისი ნაკლებიღა დარჩა 16 აგვისტომდე — ამ დღეს კლაუს ტოპმიოლერის საქართველოს ნაკრები ევროპის 2008 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლს იწყებს ფარერებთან გასვლითი მატჩით. შეხვედრა ტოფტირში გაიმართება და ჩრდილოირლანდიელი მსაჯები გაუძღვებიან: მაიკლ როსი (მთავარმსაჯი); დეივიდ როდფერნი, შონ მაკდაუელი (გვერდითები); დეივიდ მალკოლმი (მეოთხე მსაჯი).

ასევე გაირკვა 6 სექტემბრის უკრაინა — საქართველოს შეხვედრის მსაჯთა ვინაობა — ისინი ჩეხები იქნებიან: იაროსლავ იარა (მთავარი მსაჯი); პატრიკ ფილიპეკი, ანტონინ კორდულა (გვერდითები); მიხალ პატაკი (მეოთხე მსაჯი).

ალექსანდრ ბუბნოვი ბურთს ინაგვრავს

დინამო ტიტანს შეეჯახა

სიმფეროპოლში მოსამზადებლად მყოფმა თბილისის „დინამომ“ პირველი ამხანაგური მატჩი ჩაატარა. ჩვენების მეტოქე არმიანსკის „ტიტანი“ იყო, შეხვედრა 1:1 დამთავრდა.

ყირიმში გამგზავრებამდე დინამოელთა თავკაცმა კახა კაჭარავამ თქვა, ამხანაგურ მატჩებში შედეგი ჩემთვის უმნიშვნელო იქნება, მთავარია, ახალგაზრდა ფეხბურთელებმა გამოცდილება მიიღონ და ერთმანეთთან შეთამაშდნენ. „ტიტანთან“ მატჩიც კახა კაჭარავამ ამად გამოიყენა. სხვადასხვა ტაქტიკური ვარიანტების დამუშავების გარდა, მწვრთნელმა შეკრებაზე მყოფ თითქმის ყველა ფეხბურთელს მისცა თავის გამოჩენის საშუალება — 18 ფეხბურთელი ათამაშა.

მატჩში ანგარიში მასპინძლებმა 23-ე წუთზე გახსნეს — დავით ლორიამ რიკოშეტს ვერაფერი მოუხერხა. საპასუხო გოლი მეორე ტაიმის შუაში ჯაბა დვალმა გაიტანა. გია ნერგაძისა და უჩა ლობჟანიძის სწრაფი კომბინაცია კართან ახლოს მყოფმა მეგოლემ ზუსტი დარტყმით დაამთავრა. დარჩენილ დროში და მანამდეც დინამოელებს თვალსაჩინო უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ უამრავი ნაღდი საგოლე მომენტიდან მეტი ვეღარ გამოიყენეს.

თბილისელებმა „ტიტანთან“ მატჩი ასეთი შემადგენლობით დაიწყეს: ლორია, გიგაური, თომაშვილი, აკობია, ამბროზიო, ნერგაძე, ხმალაძე, ნავალოვსკი, ხუციშვილი, ჯანაშია, ტიაგო.

სიმფეროპოლში „დინამოს“ კიდევ რამდენიმე მატჩი აქვს დაგეგმილი, ერთ-ერთი ადგილობრივ „ტავრიასთან“, სხვა მეტოქეების ვინაობა კი ჯერ უცნობია. თბილისელები შინ 26 ივლისს დაბრუნდებიან, ხოლო 29-ში ჩემპიონატი დაიწყება. პირველ ტურში „დინამო“ „ბორჯომს“ უმასპინძლებს.

ლუკა თალაკვაძე

ალექსანდრ ბუბნოვი ბურთს ინაგვრავს

სირბილაძეც ოლიმპშია

რიგში ლევან გვაზავა და კიდევ...

„თბილისის“ ბაზაზე შექმნილი რუსთავის „ოლიმპი“ ამჟამად გრიგოლეთშია შეკრებაზე და ერთი ახალი ფეხბურთელიც ჰყავს — თავდამსხმელი ირაკლი სირბილაძე, რომელიც თბილისის „ლოკომოტივში“ შედეგიანი თამაშით გვახსოვს, თუმცა რკინიგზელთა შემადგენლობა რომ დაიშალა, ტანმაღალი სირბილაძე ბოლნისის „სიონში“ გადავიდა და იქ კი აშკარად ჩაადო წინა სეზონის მეორე წრე.

„ოლიმპმა“ გრიგოლეთში წასვლამდე „ლოკომოტივთან“ ითამაშა საკონტროლო და 0:0 დაასრულა მატჩი, 23 ივლისს კი ნოდარ აკობიას გუნდი ქუთაისის „ტორპედოს“ შეხვდება.

„შემადგენლობა ჯერ საბოლოოდ არ ჩამოყალიბებულა. გრიგოლეთის შეკრებაზე უკეთ გამოჩნდება, რომელ ხაზში გვჭირდება გაძლიერება და ამის მიხედვით ვიმოქმედებთ. ასე რომ, ნამატი იქნება, ლაპარაკია ლევან გვაზავას აყვანაზეც, რომელიც ახლა უკრაინის ერთ-ერთ კლუბშია წასული და თუ იქ ვერ ჩაირიცხა, ჩვენ შემოგვიერთდება“ — გვითხრა „ოლიმპის“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა მამუკა გუგეშაშვილმა.

ილია ნანოგაშვილი

ამისულაშვილი: მივიდა, ნახა, გაიტანა... ხაგრ

რუსეთის პრემიერლიგის მეთორმეტე ტურში ქართველებმა ტრადიციას არ უღალატეს და იღბლის გზაზე სვლა გააგრძელეს. დავიწყოთ ნალჩიკის „სპარტაკით“, რომლის გამჩერებელი რუსეთში არავინ ჩანს — 4:1 რამენსკოეში „სატურნთან“ უკვე ბევრზე მეტყველებს.

მეკარე ალექსანდრე ჩიხრაძე 90 წუთი იდგა კარში, გოგიტა გოგუა კი 72-ე წუთზე შეცვალეს. აღსანიშნავია, რომ გოგუას მოედანზე გასვლისას ანგარიში 1:1 იყო და ყაბარდოელებმა ბოლო 9 წუთში გაიტანეს სამი გოლი. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია: ნალჩიკელები პრემიერლიგის ლიდერები არიან, თუმცა ცსკა-სა და „რუბინს“ თამაშით ნაკლები აქვთ და ორი ქულით აგებენ გოგუა-ჩიხრაძის გუნდთან.

სამარის „კრილია“ მთელი მატჩის მანძილზე უტევდა როსტოვში, მაგრამ მხოლოდ 2:2-ს გამორჩა. დავით მუჯირმა სრულად ითამაშა, ჩვეულად აქტიური იყო და ერთი საგოლე პასიც გაახერხა. „მუმუს“ გუნდი მეხუთე ადგილზეა და ოთხი ქულით ჩამორჩება ნალჩიკის „სპარტაკს“.

პირველი რუსულპრემირლიგური მატჩი ჩაატარა ალეკო ამისულაშვილმა და თანაც დებიუტს არ იკითხავთ: „ტავრიადან“ იაროსლავლის „შინიკში“ ექვსი თვით განათხოვრებულმა მცველმა მოსკოვის „ლოკომოტივს“ გოლი გაუტანა.

ამისულაშვილმა მე-15 წუთზე შეუგდო მალხაზ ასათიანის გუნდს — ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი ერთი შეხებით გადაგზავნა კარში. ალეკომ თავის გუნდში უმაღლესი შეფასება მიიღო, თუმცა „შინიკმა“ ეს თამაში 1:3 წააგო. რაც შეეხება ასათიანს, მან სრულად ითამაშა და ერთხელ კინაღამ გოლიც გაიტანა, ოდნავ გადააცილა ხარისხს.

პრემიერლიგის მეთორმეტე ტური 19 ივლისს სამი მატჩით დასრულდება — გიორგი ქინქლაძის, მიხეილ აშვეთიას, ნუკრი რევიშვილისა და ლაშა სალუქვაძის „რუბინი“ მოსკოვის „დინამოს“ შეხვდება.

ილია ნანოგაშვილი

იმედაშვილის მესამე და გადამწყვეტი

კიევის „დინამომ“ გუშინწინღამ უკრაინის სუპერთასი მოიგო. ანატოლი დემიანენკოს გუნდმა დონეცკის „შახტარს“ 2:0 სძლია, თუმცა ოთარ მარცვალაძეს მცირე ტრავმის გამო არ უთამაშია.

კახა ალადაშვილმა და დავით იმედაშვილმა კი კიეველთა სარეზერვო გუნდში იბურთავეს და „ობოლონს“ 2:1 მოუგეს. ალადაშვილმა სრულად ითამაშა, იმედაშვილი კი მე-80 წუთზე შეცვალეს. კიევის „დინამოს“ ძირითადი გუნდი მალე მესამე შეკრებაზე წავა ესპანეთში და გადაწყვეტილია, რომ იქაც იახლებს იმედაშვილს — საქმეს ისეთი პირი უჩანს, უკრაინული გრანდი დავითს გუნდში აიყვანს: სამ შეკრებაზე ფეხბურთელი ტყუილუბრალოდ არ მიყავთ ხოლმე.

ილია ნანოგაშვილი

ჩიხურა გრიგოლეთში კარშეუხებელია

საჩხერის „ჩიხურამ“ პირველი სეზონისწინა შეკრება ჭიათურაში გაიარა, 12 ივლისიდან კი გრიგოლეთში ემზადება და 21-მდე იქ დარჩება. ხვიჩა ქასრაშვილის გუნდმა გრიგოლეთში ოთხი საკონტროლო მატჩი გამართა და ერთი გოლიც არ გაუშვია.

„ჩიხურას“ პრესატაშე ნუკრი ლოლაძის ცნობით, გუშინ ზემოიმერლები ლანჩხუთის „გურიას“ შეხვდნენ და 0:0 ითამაშეს, გუშინწინ კი გოჩა ბრეგვაძის გოლით 1:0 სძლიეს „ბათუმს“. მანამდე საჩხერელებმა ოზურგეთის „მერცხალს“ ასევე 1:0 (დავით გოდერძიშვილი) და ფოთის „კოლხეთის“ 2:0 (ლევან სანიკიძე და ზაურ ხაჭიპერაძე) მოუგეს.

21 ივლისამდე „ჩიხურა“ სამ-ოთხ ტესტ-მატჩს კიდევ გამართავს. ქასრაშვილის გუნდში ახალი ფეხბურთელები არ გამოჩენილან, თუმცა ჩემპიონატის დაწყებამდე, შესაძლოა, შევსება მიიღონ.

ილია ნანოგაშვილი

სპორტის ენციკლოპედია

მთელი სპორტი ერთ წიგნში

2500-მდე სტატია. 4000-ზე მეტი ფოტო, ნახატი და ნახაზი.
სპორტის ოლიმპიური, არაოლიმპიური,
ეროვნული, ტექნიკური და ექსტრემალური სახეობები.
ისტორია, წესები, მთავარი შეჯიბრებები, სტატისტიკა.
1000-მდე ქართველი და უცხოელი სპორტსმენის დოსიე.
სპორტულ ტერმინთა განმარტებები.
ინფორმაცია უმთავრეს საერთაშორისო შეჯიბრებებზე,
სპორტულ ორგანიზაციებზე, უძლიერეს სპორტულ კლუბებზე.
უნიკალური ფოტოები და დიდძალი სტატისტიკური მასალა.
რეკორდები. ათასი სხვა რამ

ფერადი, უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხი,
704 გვერდი, დიდი ფორმატი.

შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში: "წიგნის სახლი" (გამსახურდიას 31);"სამშობლო" (ყაზბეგის 4); "ლიბრა" (კერესელიძის 12, "მეგალაინი"); "სანტა ესპერანსა" (სანქტ-პეტერბურგის 12); "მერანი" (რუსთაველის 42); "აისი" (აღმაშენებლის 89); "საუნჯე" (რუსთაველის 28).

უნაღდო ანგარიშსწორებით შესაძენად დარეკეთ: 99 08 22; 99 94 09; 877 488844

თვესასწაული ყოველდღე

ემზარ ზენაიშვილი

აკრედიტებული შთაბეჭდილებები

მიუნხენის რკინიგზის სადგურიდან სტადიონისკენ მიმავალ „მედიაშატლში" ჩავჯდომისას უსიამოვნო შეგრძნება მქონდა. მართალია, ჩემს განკარგულებაში საათზე მეტი იყო, მატჩამდე კი სამი საათი, მაგრამ გერმანია — შვედეთის მერვედფინალურ მატჩზე სამართალდამცავების განსაკუთრებულმა ზომებმა კინაღამ სტადიონის მიღმა დამტოვა. 5 ივლისის მატჩის მნიშვნელობა და ღირებულება კი გაცილებით მაღალი იყო და ვშიშობდი, რომ შესაბამისი პროპორციულობით გაიზრდებოდა პოლიციელებისა და ბარიერების რაოდენობაც.

შენც არ მომიკვდე. სტადიონის კარიბჭემდე არც ერთი ფორმიანი არ შემხვედრია. ძალზე „ლაითად" მიუდგნენ ისინი საფრანგეთ — პორტუგალიის მატჩს. თამაშის დაწყებამდე 15-20 წუთით ადრე ტრიბუნები ნახევარზე ოდნავ მეტად თუ იყო შევსებული. რაოდენობით ფრანგი ფანები ჭარბობდნენ. მედიალოჟაში, როგორც ვიგრძენი, მეტი სიმპათია პორტუგალიელებისა და სკოლარის მხარეს იყო. მე, ფრანგთა გულშემატკივარი, ამ მატჩში „მტრების" წრეში აღმოვჩნდი. ხელმარჯვნივ სანდრო ცნობილაძე და დავით კოზირიძე, ხელმარცხნივ ჟურნალ „აფრიკის ფეხბურთის" რედაქტორი, დედით ჩეხი, მამით გაბონელი, მეუღლით ფრანგი და პარიზში მცხოვრები ბიზა მოუსისი.

პირველ ტაიმში პორტუგალიელები უკეთ გამოიყურებოდნენ, უფრო აწყობილ-დალაგებული გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს, რომელსაც მწვრთნელის ხელი ეტყობოდა. 1998 და 2000 წლების ტრიუმფატორებმა — ფრანგებმა ისე ულიმღამოდ ჩაატარეს ჯგუფური მატჩები, რომ ბევრი გულშემატკივარი დაკარგეს. ბრაზილიელებთან ბრწყინვალედ ჩატარებულმა მატჩმა ბოლომდე მათი რეაბილიტაცია ვერ მოახდინა. საერთოდ, საფრანგეთიდან ტურისტების მოზღვავება არ შეიმჩნეოდა (მახსოვს, 1998 წელს საფრანგეთს ყველაზე მეტი გერმანელი ტურისტი სტუმრობდა). ურუგვაელმა მსაჯმა ფეხბურთელებს ხისტი, კონტაქტური თამაშის შესაძლებლობა მიცა. ისევე, როგორც ბევრ სხვა მატჩში, რეფერი უშეცდომო არც ამჯერად იყო, მაგრამ პენალტი სრულიად ობიექტურად დანიშნა პორტუგალიელთა კარში.

მიაჩნდათ, რომ მატჩის ბედი ბევრად იყო დამოკიდებული ორი „ბებერი" ვარსკვლავის, ზიდანისა და ფიგუს თამაშზე. პორტუგალიელთა კაპიტანს გერმანიაში თავი დიდად არ გამოუჩენია, ზიდანი კი მეორედ მოსვლას ზეიმობდა. ამ თამაშში ის არ ბრწყინავდა, მაგრამ უფრო მეტი გააკეთა გუნდისთვის, ვიდრე კაპიტნობაში მისმა კოლეგამ პორტუგალიელებისთვის. არაფერი გამოუვიდა ინერტულ პაულეტას. მეტს ველოდით დეკოსგან. საიმედოდ არ იდგა ბარტეზი. მიუხედავად იმისა, რომ ანრის ტრავმა სრულად არ მორჩენოდა, ის გუნდის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი ფიგურაა, ალბათ ერთ-ერთი იმთავანი თანამედროვე მსოფლიო ფეხბურთში, რომელსაც ტექნიკასთან ერთად დროული მუხრუჭის უნარიც გაჩნია. „ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ პორტუგალიელები როცა მოინდომებენ, მაშინ გაიტანენ" — ტაიმის მიწურულს იმედიანად განწყობილი სანდროს ხმა ჩამესმა. მაგრამ უბედურებაც ის იყო, რომ პორტუგალიელებს ბურთის გამტანი არ აღმოჩნდათ. ბევრს კი ცდილობდა, ჩემი აზრით, ტურნირის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი კრიშტიანუ რონალდუ, მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდა (სხვათა შორის, სისწრაფე და მუხრუჭი „მანჩესტერ იუნაიტედის" ამ მოთამაშესაც კარგი აქვს).

მოდი, ბარემ ერთი ლირიკული გადახვევაც დავუშვათ. ინგლისელი ბექემი, პორტუგალიელი რონალდუ, უკრაინელი შევჩენკო, შვედი ლიუნბერგი (უფრო კულტურისტის აღნაგობა რომ აქვს) და იტალიელი ნესტა ფეხბურთის არმოყვარულ, მაგრამ კაცების მოყვარული ქალებისა და კაცების მიერ ტურნირის ყველაზე სიმპათიურ მამაკაცებად დასახელდნენ.

◆◆◆

არახალია — გერმანიაში ძალზე მაღალ დონეზეა სექსის ინდუსტრია. ცხადია, ამ ბიზნესით დაკავებულების მთავარი ამოცანა ის იყო, რომ მუნდიალის 30 დღეში ზოგადად წაუგებელი ბიზნესიდან მაქსიმალური მოგება მიეღოთ. თადარიგი ადრევე დაიჭირეს. საფეხბურთო ცენტრებში დამატებითი სამუშაო ადგილები მოაწყვეს, მომსახურე პერსონალი გააახლეს, მათი რიგები შეავსეს მომხმარებელთა ეროვნული, რელიგიური თუ სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით. როგორც ჰამბურგში მითხრეს, სპეციალური ტრენინგებიც ჩაუტარეს, მრავალ ენაზე აუცილებელი სალაპარაკო მინიმუმი შეუვსეს.

საფეხბურთო თუ სამუნდიალო ფონი დაედო თავად ამ სპეციფიკურ ობიექტებსაც. მაგალითად, დოქტორ მიულერის ეროტიკული დანიშნულების დაწესებულებებში გაჩნდა ფეხბურთთან და მასთან დაკავშირებული თემატიკა. ეროტიკულ პროდუქციასა და საქმიანობაში გაჩნდა ბურთი, მოედნის საფარი, მაისურა და ტრუსი, აღმგზნები საშუალებები, უამრავი აქსესუარი.

მომეცა შესაძლებლობა, ფრანკფურტში ამ ბიზნესში ჩახედულ პიროვნებასთან მესაუბრა.

— ვისზეა გათვლილი ჩემპიონატის პერიოდში თქვენი ასეთი აქტიურობა?

— ჩვენი ძირითადი მომხმარებელი მაინც გერმანიაა, რომლის მოთხოვნილების შკალა უბრალოა: პრაქტიკული და ნორმალური. მას ერთჯერადი მრავალფეროვნება სჭირდება — ოჯახურ ერთფეროვნებას გაურბის. სამ აუცილებელ პირობას უნდა ვაკმაყოფილებდეთ — სტუმარს უნდა ჰქონდეს არჩევანის შესაძლებლობა, უნდა გამოირიცხოს სენტიმენტალობა და იყოს კრისტალური სისუფთავე. ამ უკანასკნელით გერმანია გამორჩეულია სხვა ქვეყნებს შორის.

— ჩემპიონატთან დაკავშირებით დამატებით რა იღონეთ?

— საჭირო გახდა ქსელის გაფართოება — ქვეყანაში ადამიანთა დიდი მასა შემოვიდა, უმეტესად 20-დან 40 წლამდე ასაკის გულშემატკივრები მსოფლიოს ათეულობით ქვეყნიდან და მათთვის დაახლოებით ორი კვირა სექსის გარეშე ცხოვრება სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა. იყო მეორე კატეგორიაც — რამდენიმეათასკაციანი ჟურნალისტთა არმია, რომელიც ყურადღების გარეშე არ უნდა დაგვტოვებინა, უამრავი ჩინოვნიკი თუ სხვა სუბიექტები.

— რაიმე სკანდალები ხომ არ შეგემთხვათ?

— პრაქტიკულად არა, თავად სპორტსმენებთან ჩვენ შეხება ნაკლებად გვქონდა. ალბათ მათ სხვანაირად უყურებდნენ. ერთი კია — მიხაელ ბალაკი და ოლივერ კანი გაგვინაწყენდნენ. ჩვენ ვყიდდით მათი სახელით დამშვენებულ ვიბრატორებს. ვერ გავიგეთ, რის გამო არიან უკმაყოფილონი. იქნებ შემოსავლიდან წილიც კი მოითხოვონ (სექს-შოპების დახლებზე გამოფენილი ამ ეროტიკული საქონლის ფასი 15 ევროა).

— შემოსავალზე რას იტყვით. ბიზნესს ხომ თავისი წესები აქვს?

— ყველაფერი გათვლილი იყო. მეტად დაძაბული და მძიმე დღეები გვედგა. ახლა ცოტა ამოსუნთქვის საშუალება მოგვეცა.

— და მაინც, მოგება რა თანხაში გამოიხატება?

— მე ფინანსური დირექტორი არ გახლავართ და სათანადო ინფორმაცია არ გამაჩნია.

— რაიმე საინტერესოს ხომ არ გაიხსენებთ ფეხბურთთან დაკავშირებულს?

— ჩვენ ვერიდებით ზედმეტ ხმაურს, ზედმეტ აურზაურს, რომელიც ჩვენს იმიჯზე ცუდად მოქმედებს. ახლა კი ერთი უცნაური ამბავი მახსენდება. გასული წლის ბოლოს თუ ამ წლის დასაწყისში, როგორც მოგვიანებით გავიგეთ, ერთ-ერთი რუსული საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელობის წევრი გვწვია. ლუქსი დაიქირავა, ოთხი სხვადასხვა ეროვნების, მათ შორის ერთი აფრიკელი გოგონა გამოითხოვა, რამდენიმე ყუთი ფრანგული შამპანური და კონიაკი შეუკვეთა, მაგიდა დელიკატესებით გაავსო და სამი დღე და ღამე გოგონებთან საუბარში ისე გაატარა, არც ერთი მათგანისთვის ხელი არ დაუკარებია. ღირებულებას კი დიდი ხელგაშლილობით იხდიდა.

ბერლინში ყველაზე დიდ ეროტიკულ დაწესებულებას „პაშა" ჰქვია, რომელიც სპორტულ-გამაჯანსაღებელ [illegible] შესასვლელში თვალს მოგჭრით უზარმაზარ [illegible] ყველაზე დიდი სპორტი ხარ!"

შვიდსართულიან „პაშას" არ აქვს ფანჯრები, ძალზე ფერადოვანია. აქ, ამ „სავანეში" ერთდროულად ას მეძავს შეუძლია იმუშაოს.

სხვათა შორის, მეძავი ვალდებულია, ყოველდღიურად 50 ევრო გამოიმუშაოს, რომელიც მეპატრონეს უნდა გადაუხადოს. დანარჩენი კი მის ჯიბეში წავა.

ბოლოს ვიტყვი, რომ გერმანიაში ეროტიკულ ბიზნესში შვიდი მილიარდი ევრო ტრიალებს და საროსკიპოთა მომსახურებით 1-1,5 მილიონი კაცი სარგებლობს.

გაგრძელება იქნება



თავი თავს ეძებს

ევრო 2008-ის დაწყებამდე სერბეთის ნაკრებს 16 აგვისტოს პრაღაში, ჩეხებთან ამხანაგური მატჩი ელის, გუნდი კი ჯერაც უმწვრთნელოდაა.

სერბეთი, რომელსაც რეფერენდუმის შედეგად ჩერნიგორია გამოეყო, **A** ჯგუფშია პორტუგალიასთან, ბელგიასთან, პოლონეთთან, ფინეთთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან და ყაზახეთთან ერთად.

სერბეთ-ჩერნიგორიის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე სამივე შეხვედრა წააგო და ასე უსახელოდ დაიშალა, მწვრთნელი ილია პეტკოვიჩი კი გადადგა. ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციის შეფი ზვეზდან ტერჟიჩი პეტკოვიჩის შემცვლელს ეძებს.

„სახელოვანი მწვრთნელების მოწვევა გვსურს, მაგრამ ფინანსურად არ გვილხინს. მაგალითად, სკოლარის დონის სპეციალისტის ჯამაგირს ვერ გავწვდებით. ალბათ, უახლოეს 10 დღეში გაირკვევა ახალი მწვრთნელის ვინაობა“ — განაცხადა ტერჟიჩმა.

სერბული მედიის ცნობით, ასოციაციის შეფი იურგენ კოლერს, რატომირ დუიკოვიჩს და რობერტო მანჩინისაკ დაუკავშირდა, რომელსაც სინიშა მიხაილოვიჩთან ერთად ნაკრების თავკაცობა სთხოვა.

ამბობენ, რომ სერბეთის ნაკრების მწვრთნელი ხავიერ კლემენტე გახდება. მას ორწლიან კონტრაქტი და წელიწადში 700 ათასი ევრო შესთავაზეს.

ირაკლი ნინიძე

ტარდელი: სამართალს პური ყელში გაეჩხირა

მარკო ტარდელი „იუვენტუსის“ ახალი დირექტორი გახლავთ, რომლის გამოც „მილანმა“ და „ბებერმა ქალბატონმა“ მწარე-მწარე სიტყვები გაცვალეს. მიზეზი: ტარდელიმ განაცხადა, რომ კალჩოპოლის სკანდალს მილანელთა სასარგებლო დასასრული ჰქონდა, რასაც შავ-წითლებმა თავიანთ ვებგვერდზე გასცეს პასუხი. დავაზუსტოთ:

„ერთი ხანი კომენტარისგან თავი შევიკავე, რათა დავმშვიდებულიყავი, მაგრამ დაწყნარებულ გულზეც კი ტრიბუნალის გამოტანილი განაჩენი სრულიად დაუბალანსებელი ჩანს. სწორი გადაწყვეტილება ყველა დამნაშვე გუნდის სერია **B**-ში გაგდება იქნებოდა. ამასთან, არც ერთი მათგანისთვის ქულები არ უნდა დაექვითათ. მე თუ მკითხავთ, ის, რომ „მილანს“ უეფას თასზე გასვლის შანსი აქვს, უსამართლობაა“ — თქვა ტარდელიმ, რაზეც „მილანმა“ განაცხადა:

„ტარდელის კომენტარი ნაგვიანევ ორთაბრძოლას ჰგავს, რაც ალბათ იმის ბრალია, რომ მისი მწვრთნელობის დროს „ინტერმა“ მილანურ დერბიში 0:6 წააგო. ეს გახლდათ 2001 წლის 11 მაისი, რ[illegible] დესაც ტარდელის სამწვრთნელო კარიერას, ალბათ, წერტილი დაესვა“.

მოგეხსენებათ, მარკო ტარდელი ფეხბურთელობის დროს საუცხოო საყრდენი ნახევარმცველი გახლდათ და 1982 წელს მსოფლიოს ჩემპიონის წოდებაც მოიგო, მაგრამ შემდეგ, მწვრთნელის პროფესიას მაინცდამაინც ვერ მოერგო. „ინტერის“ შემდეგ ტარდელი მუშაობდა „ბარისა“ და „არეცოში“, ხოლო ბოლოს წარუმატებლად უძღვებოდა ეგვიპტის ეროვნულ გუნდს.

და რა შუაშია „მილანის“ უეფას თასზე გასვლა? საქმე ის გახლავთ, რომ „ემპოლის“, რომელსაც კალჩოპოლის ვერდიქტის შემდეგ თითქოსდა უეფას თასზე გასვლის უფლება ჩამოუვარდა ციდან, სინ[illegible]მდვილეში ამის უფლება არ აქვს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ უეფაში შესაბამისი განაცხადი დროულად (ბოლო ვადა 11 მაისამდე ყოფილა) არ შეუტანია — რას წარმოიდგენდა რომ დასჭირდებოდა?

პაპუნა კიდია

სკანდალისფერი ღრუბელი ინგლისში

საოცარი წელიწადია 2006 — იტალიაში საფეხბურთო სასამართლო ჯერ ხეირიანად არ დასრულებულა, რომ სკანდალისფერმა ღრუბელმა ინგლისის ცა დაფარა. ყველაფერი გასაგები რომ იყოს, სვენ გორან ერიკსონით დავიწყოთ — ინგლისელთა ნაკრების აწ უკვე ყოფილმა მწვრთნელმა მარტში **NEWS OF THE WORLD**-ს მისცა ინტერვიუ, სადაც ახსენა, რომ პრემიერლიგაში სატრანსფერო საქმეებს გვარიანი დარღვევებით და ფულის „მოტეხვებით“ აგვარებენ. ერიკსონს არ დაუსახელებია, მაგრამ ახსენა სამი გუნდი, რომელთაც ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე ჩაიჯიბეს „შავი ფული“. ამ საქმეში მათი მწვრთნელებიც ყოფილან გარეული.

ლორდი სტივენსი

პუბლიკაციას, ბუნებრივია, პრემიერლიგის მხრიდან რეაქცია მოჰყვა — ლიგის მთავარმა აღმასრულებელმა შეფმა რიჩარდ სქიუდემორმა განა ხელები გაასავსავა და ცოფები ჰყარა, ამას ვის უბედავთო, გამოძიება დანიშნა.

გამოძიებას ლონდონის პოლიციის ყოფილი შეფი, ლორდი სტივენსი ჩაუდგა სათავეში. როგორც ამბობენ, ლორდი სტივენსი და დარღვევათა გამოაშკარავებაში გაწაფული დეტექტივების ჯგუფი ძალიან სერიოზულ უსიამოვნებებს მიანიჭებენ პრემიერლიგის იმ კლუბებსა და მათ შეფებს, რომლებიც მოთამაშეთა არალეგალური ფულით ყიდვა-გაყიდვაში არიან ჩართულნი, თუმცა ორი თვე არაფერი მოხდება — ლორდმა სტივენსმა გამოძიება სექტემბერში უნდა დაამთავროს.

როგორც იმავე **NEWS OF THE WORLD**-ისთვის გახდა ცნობილი, სრულიად შესაძლებელია, გამომძიებლებმა ბინების, ოფისების და მობილური ტელეფონების საუბართა ჩანაწერები, პირადი საბანკო ანგარიშების ჩხრეკვა და სხვა ამდაგვარი უფლებები მოითხოვონ და მიიღონ კიდეც.

როგორც ყოველისმცოდნე ინგლისური პრესისთვის „შიგნიდან“ გახდა ცნობილი, გამოძიება უკვე ფლობს მეტად სერიოზულ და მყარ სამხილებს.

ცნობილია ისიც, რომ ზემოხსენებულ რიჩარდ სქიუდემორს ზოგი გუნდის ხელმძღვანელთა მხრიდან დიდი წინააღმდეგობა ხვდება — კერძოდ, პრემიერლიგის აღმასრულებელი შეფი ლორდ სტივენსს დათანხმდა, გაიხსნას 2004 წლის 1 იანვრიდან განხორციელებული, აბსოლუტურად ყველა ტრანსფერის საქმე, რაც ბევრს არ სიამოვნებს.

პაპუნა კიდია

მარცხენა ფეხი ტოტენჰემისთვის

„ტოტენჰემი“ 11 მილიონ გირვანქად „ჩელსიდან“ დემიენ დაფს ყიდულობს. ირლანდიელი ფეხბურთელი სამედიცინო შემოწმებას გაივლის, „ტოტენჰემის“ მწვრთნელი მარტინ იოლი კი იმედოვნებს, რომ ტრანსფერი კვირის ბოლომდე გაიჩარხება.

27 წლის ნახევარმცველს „მამლებმა“ კვირაში 60 ათასი გირვანქა ჯამაგირი შესთავაზეს. შეგახსენებთ, რომ იოლის გუნდი უეფას თასზე ითამაშებს.

ტოტენჰემელებმა ამ ზაფხულს 22 მილიონი გირვანქა უკვე დახარჯეს და შეიძინეს: დიმიტარ ბერბატოვი, დიდიე ზოკორა და ბენუა ასუ-ეკოტო.

დემიენ დაფს, რომელიც „ჩელსიმ“ 2003-ში 17 მილიონ გირვანქად „ბლექბერნიდან“ იყიდა, ჟოზე მაურინიუმ უთხრა, რომ აღარ სჭირდება. „ჩელსიში“ მიხაელ ბალაკისა და ანდრეი შევჩენკოს მისვლის შემდეგ, მაურინიუს გუნდის ტაქტიკა, სავარაუდოდ, შეიცვლება, რაც დაფის სკამზე დასმას გამოიწვევდა.

ხოლო მარტინ იოლი მარცხენა შემტევ-ნახევარმცველს ეებდა და მიაგნო კიდეც დაფს. „ტოტენჰემს“ მარჯვენა ფრთაზე აარონ ლენონი ჰყავს, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატზე დევიდ ბექემი რამდენჯერმე შეცვალა და საკმაოდ კარგად ითამაშა.

ვაჟა ხუციშვილი

დოლორესმა და კანტომ რონალდუ დატოვეს

კრიშტიანუ რონალდუ და მარშ რომერი

კრიშტიანუ რონალდუ საბოლოოდ გადაწყვიტა „მანჩესტერში“ დარჩენა, მას შემდეგ, რაც გულაბდილად ელაპარაკა დედას, მარია დოლორესს.

დედამ შვილს უთხრა, რომ სწორ ადგილასაა და იქავე უნდა დარჩეს.

„მიხარია, რომ ბიჭი უკან ბრუნდება — თქვა მარია დოლორესმა — იქ კრიშტიანო მართლა სჭირდებათ. ყველა ფეხბურთელს უნდა მადრიდში და ბარსელონაში თამაში, მაგრამ ჩემი შვილი „მანჩესტერში“ რჩება“.

ჰოდა, რონალდუც შეკრებაზე წავიდა. მანამდე ის დედას სტუმრობდა კუნძულ მადეირაზე, სადაც თავისი მეჯნური მარშ რომერიც ახლდა.

რონალდუს საბოლოო გადაწყვეტილება შორიდან მოიწონა ერიკ კანტონამ: „ჩემთვის „მანჩესტერი“ უდიდესი კლუბია, ახლა ის რუნის და რონალდუს მომავალს ემყარება. ყოველ სეზონში უნდა მოუმატონ. „მანჩესტერი“ საუკეთესო ადგილია ახალგაზრდა ვარსკვლავებისთვის, თუ თამაშის სწავლა უნდათ. 18 წლის რომ ვიყო, მანდ წავიდოდი“.

ირაკლი გამყრელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალეს ტონი



ლუკა ტონი ბანგკოკში ისვენებს

ფლორენციის „ფიორენტინას" საპატიო პრეზიდენტი დიეგო დელა ვალე ირწმუნება, რომ სერია A-ს გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირი და მუნდიალზე ორი გოლის გამტანი ლუკა ტონი გუნდში რჩება. მოგეხსენებათ, 29 წლის ფორვარდს რამდენიმე კლუბი უტრიალებს მილანის „ინტერის" თამადობით.

როგორც იცით, კალჩოპოლის განაჩენის შედეგად, „იები", სერია B-ში დააქვეითეს მინუს 12 ქულით. დიეგო დელა ვალეს საფეხბურთო საქმიანობა 4 წლით აეკრძალა, ხოლო მის ძმას და „ფიორენტინას" პრეზიდენტ ანდრეას — 3 წლით და 6 თვით. თუმცა დელა ვალეს ოჯახი ამ სასჯელს არ ეთანხმება და აპელაციისა ეიმედება.

„ჩვენ არაფერი ცუდი არ გაგვიკეთებია, ეს ყველამ უნდა იცოდეს. იმედია, გასაჩივრება შედეგს გამოიღებს. რაც შეეხება ტონის, იგი გუნდში რჩება. მას ჩვენთან კონტრაქტი აკავშირებს და ამ შეთანხმებას ჩვენც პატივს ვცემთ და ლუკაც. წამყვანი მოთამაშეები უნდა შევინარჩუნოთ" — განაცხადა დიეგო დელა ვალემ.

მიუხედავად ასეთი განცხადებისა, აპენინური პრესის ცნობით, ტონი ქვედა ლიგაში თამაშს არ ისურვებს და იგი „ინტერის" წინადადებას უკვე სერიოზულად განიხილავს.

კოკი კანდელაკი

რატომ, რატომირ?

მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტის ამოწურვამდე ხუთი თვე ჰქონდა დარჩენილი, განის ნაკრების სერბი მწვრთნელი რატომირ დუიკოვიჩი გადადგა. ამის შესახებ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა: „ჩვენ შეგვატყობინეს, რომ რატომირ დუიკოვიჩს აქ მუშაობა აღარ სურდა და განიდან წავიდა" — ბრძანა ფედერაციის პრესმდივანმა რანდი აბეიმ, ოღონდ სერბის აბარგების მიზეზი არ დაუსახელებია.

55 წლის რატომირ დუიკოვიჩმა განის ნაკრებს ისტორიაში პირველად ანახა მუნდიალი და ჯგუფში ორი მატჩის (ჩეხეთთან და აშშ-სთან) მოგების შემდეგ მერვედფინალს უწია, სადაც მსოფლიოს ჩემპიონ ბრაზილიასთან 0:3 დამარცხდა.

ამბობენ, რომ დუიკოვიჩს ევროპის რამდენიმე ქვეყნის ნაკრები ეპატიჟებაო, მათ შორის — აზერბაიჯანი.

გიორგი დარჯანია



მეექვსე მინდა

„ლიონის" მწვრთნელ ჟერარ ულიეს მიაჩნია, რომ მის გუნდს ზედიზედ მეექვსედ შეუძლია საფრანგეთის ჩემპიონატის მოგება. ლიონელებმა ქვეყნის რეკორდი უკვე დაამხეს მიჯრით ხუთჯერ გაჩემპიონებით, მაგრამ ულიეს თქმით, ჩემპიონთა ლიგაზე მთავარი, მეექვსე საშინაო ოქროა.

„სწორედ ესაა უპირველესი მიზანი, ხოლო მეორე — ჩემპიონთა ლიგა. მეექვსე ოქრო გუნდისთვისაც და, რა თქმა უნდა, ჩემთვისაც ფანტასტიკური შედეგი იქნება. თან, ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო მძაფრდება პირველი ადგილისთვის ბრძოლა. დიდ საფეხბურთო ქვეყნებში მიჯრით ექვსჯერ ჩემპიონატი არავის მოუგია და მსურს, რომ „ლიონი" ამ მხრივ პირველი გახდეს. წინა სეზონში, ჯერ იანვარში და მერე თებერვალში, მცირე ჩავარდნა გვქონდა, რაც ფეხბურთელთა ტრავმებმა გამოიწვია, მაგრამ მაინც მივაღწიეთ სასურველ მიზანს" — განაცხადა ჟერარ ულიემ.

შეგახსენებთ, რომ საფრანგეთის ჩემპიონატი 30 ივლისს იწყება.

კოკი კანდელაკი

სპასალარი ამირი

ირანის ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების ახალ მწვრთნელად ამირ ქალენოიე დაასახელა. მან ხორვატი ბრანკო ივანკოვიჩი შეცვალა, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე აზიელთა წარუმატებელი გამოსვლის მერე გადადგა. ქალენოიემ კი ცოტა ხნის წინ ადგილობრივ „ესტეგლალს" ეროვნული ჩემპიონატი მოაგებინა.

ირანული პრესა ივანკოვიჩის გადადგომას მექსიკასთან და პორტუგალიასთან მარცხის მერევე ითხოვდა. ჯგუფის მესამე მატჩში აზიელებმა ანგოლასთან ფრედ ითამაშეს, რაც ასევე წარუმატებლობად ჩაითვალა. ქომაგებისთვის ეს დიდი იმედგაცრუება იყო, რადგან ამჟამინდელი ირანის ნაკრები ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ გუნდად ითვლება თავის ისტორიაში.

კოკი კანდელაკი

ტორესმა გარანტიას წაუყრუა

მადრიდის „ატლეტიკოს" მწვრთნელი ხავიერ აგირე აცხადებს, რომ ფერნანდო ტორესის მომავალი ჯერაც ბუნდოვანია.

„მე ვესაუბრე ფერნანდოს და ვერ მომცა იმის გარანტია, რომ მომავალ სეზონშიც ჩვენთან იქნება — თქვა აგირემ — სატრანსფერო ფანჯარა ღიაა და ყველაფერი შეიძლება მოხდეს, თუმც ერთი რამ ნამდვილად ვიცი, ტორესი კლუბთან ვალშია."

ესპანური და ინგლისური მედიის მტკიცებით, 22 წლის ფორვარდის შეძენას, რომელმაც მუნდიალზე არცთუ ურიგოდ ითამაშა, „მანჩესტერ იუნაიტედი" აპირებს.

„ელ ნინიო" მადრიდის „ატლეტიკოს" თილისმა გახდა მას შემდეგ, რაც 17 წლისამ ძირითად შემადგენლობაში ითამაშა. მაშინ „ატლეტიკო" სეგუნდადივიზიონში იყო. ტორესი გასულ ოთხ სეზონში ოთხჯერვე გუნდის მთავარმეგოლე შეიქნა, მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიაში კი სამი გაიტანა.

წინა სეზონში მეთორმეტე ადგილზე გასულმა „ატლეტიკომ" ამ ზაფხულს, ნიჭიერი არგენტინელი სერხიო აგერო 28 მილიონ დოლარად იყიდა. გუნდს ჰყავს მაქსი როდრიგესი და მატეა კეჟმანიც, რომელიც წასვლას არ აპირებს და, ალბათ, ტორესს გაყიდიან.

„ძალიან ბევრი გუნდი მიკავშირდებოდა — განაცხადა სერბმა — მაგრამ აქ დარჩენა მსურს. ფანებს ჯერ არ უნახავთ ნამდვილი კეჟმანი. ჩვენ გვყავს ახალი ფეხბურთელები და ახალი მწვრთნელი, „ატლეტიკო" კი დიდი და ამბიციური კლუბია."



ფერნანდო ტორესი

მაიკლის ფეხი



მაიკლ ოუენის ფეხის ამბავი კვლავ რთულადაა.

კოლორადოელმა ტოპ-ოდასტაქარმა, რიჩარდ სტიდმანმა, მაიკლს ოპერაცია გაუკეთა, მაგრამ ნარკოზიდან გამოსულმა მეგოლემ შეიტყო, რომ მას კიდევ ერთი ოპერაცია დასჭირდება. „მძიმე მოსასმენი იყო — აღიარა მაიკლმა — ნარკოზიდან რომ გამოდიხარ და ზედ უსიამოვნო ამბავი ერთვის, ძალიან ცუდ ხასიათზე დგები. მაგრამ ეს ერთადერთი გზა ყოფილა, რომელიც ექიმმა ოპერაციის დროს აღმოაჩინა."

ახალი ოპერაცია ექვს-შვიდ კვირაში ჩატარდება.

ირაკლი გამყრელიძე

დედა, დედა, მარადონა ვნახე!



...გამოვიდა გერმანელი თვითმფრინავის სააბაზანოდან და პირდაპირ ჩვენ დაგვადგა თავზე. ისეთი თვალებით გვიყურებს, კედელს რომ შეხედოს, სალებავს ჩამოაცლის. „იქნებ გაჩუმდეთ, აქ ხალხს დაძინება უნდა!" — გვეუბნება მბრძანებლურად, ინგლისურ ენაზე. „ნუ გეშინია, ბოზუკავ, ყურები არ გაგისკდება" — პასუხობს დიეგო ესპანურად და სანამ ჩვენ ავხარხარდებოდეთ, ამატებს ინგლისურად — **FIVE MINUTES...**

ყველაფერი ეს ატლანტიკის ოკეანის თავზე ხდება, თვითმფრინავში, რომლითაც დიეგო არმანდო მარადონა მსოფლიოს ჩემპიონატიდან სამშობლოში ბრუნდება. არგენტინული „ოლეს" სამი ჟურნალისტიც დროს არ კარგავს და საკარძელში ნებივრად გაწოლილ ფეხბურთის მეფეს განვლილ მუნდიალზე ელაპარაკება. საუბარი ხმამაღალი, ტემპერამენტიანია და თვითმფრინავში მყოფი სხვა არგენტინელებიც ხალისით უსმენენ. ოღონდ ეგ არის, უცხოტომელი, გერმანელი მოგზაური გადარიეს და... მოკლედ, დიდ დიეგოსთან სამი გაუჩო კორესპონდენტი — მარსელო, ლუისი და ანტონიო — მასლაათობს.

„დარწმუნებული ვარ, გერმანელმა ვერ გაიგო, ბოზუკაო, რომ ვუთხარი. ისე კი, უნდა მოსულიყო ცოტათი აზრზე, იმხელაზე გადავიხარხარეთ, რომ ქეაც მიხვდებოდა, დამცინიანო... იცით, მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველაზე კაი გუნებაზე როდის ვიყავი? ეს გერმანელები იტალიამ რომ დააჩოქა ნახევარფინალში... დავიხურე ქუდი, გავიკეთე შავი სათვალე და ქუჩაში გავედი, აბა, ახლა იმხიარულეთ-მეთქი... შენ აზრზე ხარ, რა გამიკეთეს? როცა გერმანიამ არგენტინას მოუგო, ჩვენი სასტუმროს პატრონმა **„DON'T CRY FOR ME ARGENTINA"** ჩართო მთელი ხმით... მეექვსე სართულზე ვიყავი და ის სიმღერა მე მესმოდა, წარმოიდგინე, ნაკრების ფეხბურთელები რა დღეში ჩაცვივდებოდნენ — მათი ნომრები მეხუთეზე იყო. მეორე დღეს სასტუმროს პატრონი ჩემთან მოვიდა, მომელაქუცა და მითხრა, ერთად სურათი გადავიღოთო. მე ავდექი და ვუთხარი, აგერ, გადამიღე-მეთქი" — თქვა დიეგომ და ერთ ადგილზე წაივლო ხელი.

ჩვენც, მარადონასკენ ფოტოაპარატმოშტერებული გერმანელი რომ წარმოვიდგინეთ, ისევ გაგვეცინა...

— ფინალში იტალიის გოლებზე ძალიან იყვირე?

— შენ წარმოიდგინე, არ მიყვირია. მაშინ პირდაპირ ეთერში რეპორტაჟი მიმყავდა და უხერხული იქნებოდა, რომ მელრიალა... ისე, ბლავილი ყელში ბურთივით მქონდა გაჩრილი.

...დიეგო ხალისიანად გველაპარაკება, კითხვის დასრულებამდე არ გვაცლის, უცებ გვპასუხობს, თითქოს ყველა შეკითხვა წინასწარ იცოდეს... საუბრის დროს ხელით გეხება, შენი ყურადღების მიპყრობას ცდილობს. თან ეტყობა, სიგიჟემდე უნდა მოწევა, მაგრამ თვითმფრინავია და აქ თვით მარადონასაც არ აქვს უფლება, პირში სიგარა გაიჩაროს...

— მუნდიალზე რას გვეტყვით?

— ჩემთვის მუნდიალი არგენტინის დამარცხებასთან ერთად დამთავრდა. კომენტატორი ვიყავი და კონტრაქტის ხათრით კიდე რამდენიმე ხანს დავრჩი გერმანიაში, მაგრამ ეს ტანჯვას უფრო ჰგავდა, ვიდრე გართობას. გერმანელებთან კი ჩვენ უნდა მოგვეგო, შანსი ბევრი გვქონდა. და საერთოდაც, როცა იტალიამ თასი ასწია... ჯანდაბა, რას ვამბობ — ის თასი საფრანგეთის უნდა ყოფილიყო. ნახეთ, ათკაციანი გუნდი იტალიელებს რას უშვრებოდა? მაკელელემ ითამაშა გადასარევად. ფინალის მერე მასთან მივედი და ვუთხარი — ზანგო, შე კახპისშვილო, უმაგრესი ხარ, მიწვიეს, ოლიმპიადაზე ვთამაშობ, ბოზუკაო, ეს ბოზუკაო, ეს ბოზუკაო... ეს

ტურამის B ბარსელონაში



ტურამი გარბის, ბუფონი რჩება

ლილიან ტურამმა განაცხადა, რომ „იუვენტუსთან“ ერთად სერია B-ში არ ითამაშებს. მოგეხსენებათ, კალჩოპოლის ვერდიქტით „ბებერი ქალბატონი“ მომავალ სეზონს სერია B-ში გაატარებს და თან თავიდან მინუს 30 ქულა ექნება.

„იმის შანსი, რომ მომავალ სეზონში ისევ „იუვენტუსში“ ვიქნები და სერია B-ში ვითამაშებ ძალიან მცირეა — თქვა 34 წლის მცველმა — ჯერჯერობით კლუბთან ჩემს მომავალზე ბევრი არ მილაპარაკია, მაგრამ მგონი დრო საკმარისად არის. ვფიქრობ, ვიპოვი უმაღლესი დივიზიონში ჩემთვის შესაფერის გუნდს“.

ამბობენ, რომ „მონაკოსა“ და „პარმას“ ყოფილი ფეხბურთელით რამდენიმე კლუბია დაინტერესებული, მათ შორის „ბარსელონაც“.

„ვნახოთ რა მოხდება — დასძინა მან — „ბარსელონა“ ნამდვილად საუცხოო ვარიანტია“.

ტურამის სატრანსფერო ფასი 1,8 მილიონი დოლარია, რაც მისი ასაკის გათვალისწინებით საკმაოდ დიდი თანხაა.

სერია B-ში, სავარაუდოდ, არც მსოფლიოს ჩემპიონი გოლკიპერი ჯიჯი ბუფონი ჩაჰყვება „ბებერ ქალბატონს“, თუმცა მან მადრიდის „რეალში“ გადასვლა შორს დაჭირა. ბუფონს უკავშირებენ ინგლისური კლუბების, „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „არსენალის“ ინტერესსაც.

მსოფლიოს საუკეთესო მეკარედ შერაცხული ბუფონის წარმომადგენელმა სილვანო მარტინამ გაზეთ „გარდიანთან“ საუბარში განაცხადა:

„მისი უპირველესი ამოცანა იტალიაში დარჩენაა. მას ცხოვრების გასაგრძელებლად ლონდონიც ძალიან მოსწონს, მაგრამ ვიმეორებ, უპირველეს ყოვლისა სერია A-ში უნდა თამაშობ“.

როგორც ჩანს, ბუფონს ყველაზე მეტად „მილანში“ გადასვლის ვარიანტი აძლევს ხელს. აქტიურობს „რომაც“, მაგრამ საეჭვოა, იტალიის დედაქალაქის გუნდი იმ ხელფასის გადამხდელი იყოს, რომელსაც ბუფონი ითხოვს.

პაპუნა კედია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდზე უფრო დიდი

ბრაზილიელმა პლეიმეიკერმა კაკამ „რეალში“ გადასვლა არ გამორიცხა და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მისი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გადაბარგება, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. თუმცა „მილანის“ ხელმძღვანელობა ამას კატეგორიულად გამორიცხავს.

კაკა: „მე და ჩემი ოჯახი მილანში თავს კარგად ვგრძნობთ. ამიტომაც გავახანგრძლივე ახლახან კონტრაქტი, ხოლო ის ფაქტი, რომ „რეალი“ ჩემით დაინტერესებულია, ძალიან სასიამოვნოა. „სამეფო გუნდი“ ისეთივე დიდია, როგორც „მილანი“, შესაძლოა, უფრო დიდიც.“

ბრაზილიელის ბოლო სიტყვები, ალბათ, პირველი სასიამოვნო სიგნალი იყო „რეალისთვის“ და უსიამოვნო — „მილანისთვის“. მიუხედავად იმისა, რომ კაკამ „როსონერისთან“ კონტრაქტი 2011 წლამდე გაახანგრძლივა, მისი წასვლა მაინც საკმაოდ რეალური ჩანს. მადრიდელთა ახალი პრეზიდენტი რამონ კალდერონი ინჩასებს დაჰპირდა, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ კაკას ჩამოვიყვანო და ახლაც ირწმუნება, სიტყვას შევასრულებო.

კაკას „ჩელსიც“ უტრიალებს, რომელმაც ამ ზაფხულს „მილანს“ უკვე წაართვა ანდრეი შევჩენკო. სწორედ ამ ტრანსფერის მერე გაიძახის „როსონერის“ ხელმძღვანელობა, ლიდერებს აღარ შეეყლეევით და კაკა ხელშეუხებელიაო. მათ უეფასაც კი სთხოვეს დახმარება, მადრიდელები ჩვენს ფეხბურთელს აწუხებენ, არალეგალურად აწარმოებენ მოლაპარაკებას და ზომები მიიღეთო, მაგრამ ამან ბევრი ვერაფერი შეცვალა. „რეალი“ მაინც თავისას ცდილობს და დიდი შანსია, მიაღწიოს კიდეც მიზანს.

„არანირი შეთანხმება არ არსებობს და არც რამე კონკრეტულზე ვლაპარაკობთ. „რეალში“ მხოლოდ მაშინ გადავალ, თუ ამაზე სერიოზული საუბარი შედგება და კონტრაქტზე შევთანხმდებით. თუმცა მთავარი „მილანის“ მოთხოვნები და პირობებია, რომელიც მადრიდელებმა უნდა დაკმაყოფილონ“ — დასძინა კაკამ.

გიორგი კაკაბაძე

ბაზარში შევლას კიდევ მოვასწრებთ

იტალიელიც არის და იტალიელიც — კალჩოპოლის სკანდალმა „რომას“ ჩემპიონთა ლიგაში გასვლა გაუშანსა. შესაბამისად, „ჯალოროსის“ მწვრთნელი ლუჩანო სპალეტი შემადგენლობის გაძლიერების აუცილებლობის წინაშე დარჩა.

„ბაზარი ჯერ არ დახურულა და ამიტომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს — თქვა წარმოშობით ფლორენციელმა სპალეტიმ — ჩვენი გუნდი ჯერ დაუბალანსებელია, ასე რომ, ორი-სამი ფეხბურთელის ყიდვა კიდევ დაგვჭირდება. გარდა ამისა, რამდენიმე მოთამაშეს გავცვლით სხვა გუნდებთან“.

როგორც ამბობენ, „რომა“ აპირებს მირკო ვუჩინიჩის, ვინჩენცო იაკინტას და ანდრეა კარაჩოლოს შეძენას, რათა მათ ფრანჩესკო ტოტის შეტევა გაუიოლონ. ვუჩინიჩი სიამოვნებით წავა „ლეჩედან“, ოღონდ კი ვინმემ საიტერესო წინადადება უთხრას.

იაკინტა, მოგეხსენებათ, „უდინეზეს“ 2004-05 წლების წარმატებაში გადამწყვეტი ფიგურა იყო და მაშინ „ძებრეტეს“ სწორედ სპალეტი ხელმძღვანელობდა. ერთი სიტყვით, მწვრთნელი თავის რჩეულ შეგირდს ახალ სამსახურში ისევ ერთად მუშაობას სთავაზობს. რასაკვირველია, მნიშვნელოვანია ისიც, რომ იაკინტა ჩემპიონთა ლიგაში თამაშის შესაძლებლობას იღებს.

რაც შეეხება კარაჩოლოს, ის უკვე იყო „რომას“ ვარჯიშზე და სავარაუდოდ „პალერმოდან“ მის გადაბირებას არავინ უდგას წინ.

ეგვიპტელ მიდოს „რომა“ სავარაუდოდ ინგლისში, კერძოდ „ბლექბერნში“ გაუშვებს და სხვა ტრანსფერებისთვის ზედმეტ ფულს გამორჩება. ამბობენ, რომ არის აღმოჩენაც — სტეფანო ოკაკა ჩუკა, რომელიც 16 წლის გახლავთ და ამას წინათ რუმინულ „პოლიტექნიკას“ ამხანაგურ შეხვედრაში გოლი გაუტანა.

პაპუნა კედია

სტამბოლი ფრანკფურტში

თურქეთის ნაკრები ევრო-2008-ის შესარჩევი ციკლის პირველ საშინაო მატჩს 6 სექტემბერს ფრანკფურტში ითამაშებს. „კომერცბანკ-არენაზე“ ოსმალოები მალტას უმაყურებლოდ უმასპინძლებენ.

გახსოვთ ალბათ, რომ ფიფამ თურქები შვეიცარიის ნაკრებთან ჩხუბის გამო დასაჯა. სადისციპლინო კომიტეტმა თებერვალში გამოიტანა განაჩენი, რომლის თანახმადაც, თურქეთს ექვსი საშინაო მატჩი ნეიტრალურ მოედანზე და უმაყურებლოდ უნდა ეთამაშა, მაგრამ დასჯილებმა ორიოდ კვირის წინ საბოდიშო წერილი მისწერეს ფიფელებს და მათაც სასჯელი გაუნახევრეს.

11 ოქტომბერს მოლდოვასთან და 2007-ში მარტში ნორვეგიასთან მატჩებსაც, ფათიჰ თერიმის გუნდი ნეიტრალურ მოედანზე გამართავს.

ვაჟა ხუციშვილი

მასიმო მორატი: დამიბრუნეთ ქარის წაღებული!



„ინტერის“ მეპატრონე მასიმო მორატიმ გასული სეზონის ჩემპიონის ტიტული მოითხოვა. მოგეხსენებათ, სკუდეტო, რომელიც მორატის მოუნდა, „იუვენტუსმა“ მოგო, მაგრამ კალჩოპოლის სკანდალმა „ბებერი ქალბატონი“ სერია B-ში ჩაუძახა.

„მე 2005-06 წლების სკუდეტო მინდა — თქვა მორატიმ — გასულ სეზონში ჩემპიონობა ჩვენ გვერგებოდა. ტიტულის ჩვენთვის გადმოცემა იმიტომ არის აუცილებელი, რომ გაირკვეს, ვინ კორუფციული სისტემის წყალობით ხდებოდა ჩემპიონი და ვინ — კანონებს ემორჩილებოდა“.

როგორც ცნობილია ტრიბუნალმა დასაჯა „იუვენტუსი“, „ლაციო“, „ფიორენტინა“ და ნაწილობრივ „მილანი“, „ბებერი ქალბატონისთვის“ კი ტიტულის ჩამორთმევა ბრძანა.

„ტიტულის ტურინელებისთვის დატოვება შეცდომა იქნება — მრისხანებს მორატი — ამას დანარჩენი მსოფლიო სხვანაირად ჩამოგვართმევს. ეს მთელ დედამიწას აფიქრებინებს, რომ ჩვენში უკლებლივ ყველა გათხვრილია, არადა ასე არ არის. იმავეს ვიტყოდი მესამე ადგილზე ჩვენ კი არა, სხვა რომ გასულიყო. ვინაიდან პირველმა და მეორემ წესი დაარღვიეს, ჯილდო შემდეგს უნდა გადაეცეს. აქ, არ ვეხები ფინანსურ საკითხებს, არადა ამ კორუფციული სისტემის გამო ბოლო ორ წელიწადში გვარიანი თანხა გავატანე ქარს. გამოდის რომ, მომატყუეს? მე კი არა, მილიონობით ფანი მოატყუეს.“

პაპუნა კედია

აბარგებისას დაშავებული

გლაზგოს „სელტიკის“ შეფებსა და კლუბის ვეტერან ნახევარმცველ ალან ტომპსონს შორის კონფლიქტი მოხდა. შედეგად, 32 წლის ფეხბურთელი ამერიკის ტურნედან მოკვეთეს და სამშობლოში დააბრუნეს. ოფიციალურ მიზეზად ტრავმა დასახელდა, მაგრამ ტომპსონის აგენტმა ტონი მაკგილმა სხვა ვერსია გაავრცელა.

„ალან ტომპსონი სახლში დაბრუნდა. მას ტრავმა აქვს“ — ნათქვამია „სელტიკის“ ოფიციალურ განცხადებაში.

„ალან ტომპსონი არ იყო ტრავმირებული, როდესაც სასტუმრო დატოვა. არ ვიცი, ეგებ იგი თვითმფრინავში თავისი ბარგის ატანისას დაშავდა“ — ირონიულად აღნიშნა მაკგილმა.

ტომპსონს რამდენჯერმე გაუკრიტიკებია გლაზგოელთა გეგმები, მომავალი სეზონისთვის სხვაგვარად უნდა ვემზადებოდეთო. ალბათ, კონფლიქტიც ამან გამოიწვია. სხვა დეტალები ჯერ უცნობია. გამორიცხული არ არის, ამ ინციდენტის მერე ვეტერანმა კლუბი გამოიცვალოს.

ტონი მაკგილი: „ალანს სათამაშო ფორმა დაუწუნეს, არადა, იგი მშვენივრად ირჯებოდა. ჩემი აზრით, „სელტიკი“ არაპროფესიულად მოიქცა. მეგონა, გუნდს სწორედ ისეთი გამოცდილი და პროფესიონალი ფეხბურთელები სჭირდებოდა, როგორიც ტომპსონია. მწვრთნელიც ამ აზრზე იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, გორდონ სტრანჩანმა აზრი შეიცვალა ან შეაცვლევინეს. რამდენად იმოქმედა ამ ყველაფერზე ალანის კომენტარმა მოსამზადებელ პერიოდთან დაკავშირებით, არ ვიცი. ყოველ შემთხვევაში, რამდენიმე დღის მერე სტრანჩანმაც თითქმის იგივე თქვა...“

კოკი კანდელაკი



ფილიპ სენდეროსი

ბაჭია ჭორაობს

სენდეროსი ოქტომბერში შეიარაღდება

ლონდონის „არსენალის“ მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა თქვა, რომ კლუბის წამყვანი მცველი ფილიპ სენდეროსი დაახლოებით სამი თვე ვერ ითამაშებს. მოგეხსენებათ, 21 წლის შვეიცარიელმა ტრავმა მუნდიალზე მიიღო და მინდორს ოქტომბერში დაუბრუნდება. იქამდე „მეთოფეებს“ ახალი ფეხბურთელი დასჭირდებათ, რადგან სხვა მცველებიც ლაზარეთში იმყოფებიან, ხოლო სოლ კემპბელმა კლუბის გამოცვლა გადაწყვიტა. ბრიტანული პრესის ცნობით, ვენგერი „ვესტ ბრომვიჩის“ ახალგაზრდა და პერსპექტიული გარემარბის, კურტის დეევისის შეძენას აპირებს.

„სენდეროსი სამი თვით დავკარგეთ. იოჰან ჯირუ და გაელ კლიში ასევე დაშავებულნი არიან. ასე რომ, ერთი მარცხენა ან მარჯვენა გარემარბი გვჭირდება. კურტის დეევისი მომწონს, მაგრამ ჯერ არანაირი შეთანხმება არ არსებობს და „ვესტ ბრომვიჩთან“ მოლაპარაკებაც არ წამოგვიწყია, თუმცა არაფერს გამოვრიცხავ“ — თქვა ვენგერმა.

ფრანგმა ხავიერ სავიოლაზეც ისაუბრა და უარყო ჭორები „არსენალში“ მისი გადასვლის შესახებ. ცოტა ხნის წინ „ბაჭიას“ აგენტმა თქვა, სავიოლა „მეთოფეების“ რიგებში სიამოვნებით ითამაშებსო.

არსენ ვენგერი: „სავიოლა არ გვაინტერესებს. ეს ჭორები პრესამ გავრცელა. საკმარისი ფორვარდები გვყავს. ტომაშ როსიცკი ვიყიდეთ. გვყავს ტიერი ანრი, ხოსე ანტონიო რეიესი, ემანუელ ადებაიორი, რობინ ვან პერსი, თეო უოლკოტი, არტურო ლუპოლი, ნიკლას ბენდტნერი და ჟერემი ალიადირი. თავად განსაჯეთ, რად მინდა ახალი თავდამსხმელი?“

გიორგი კაკაბაძე

მაგათის გაზაფხული

„ბაიერნის“ განცხადებით, მწვრთნელმა ფელიქს მაგათმა კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა. ამრიგად, გერმანიის ნაკრების ყოფილი ვარსკვლავი მიუნხენში 2008 წლის გაზაფხულამდე დარჩება.

„კონტრაქტის ერთი წლით გახანგრძლივებას ორივე მხარე დათანხმდა“ — თქვა კლუბის აღმასრულებელმა შეფმა, ლეგენდარულმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ — გარდა ამისა, მოლაპარაკებების დროს დაგვრჩა შთაბეჭდილება, რომ ფელიქსი ამას მხოლოდ სამსახურის შენარჩუნების გამო არ აკეთებს. მას აქ, რაც შეიძლება დიდხანს სურს დარჩენა“.

მაგათი 52 წლისაა. მისი მამა ჰუერტო რიკოდანაა, დედა კი გერმანელია. „ბაიერნს“ სათავეში 2004 წელს ჩაუდგა და ორ სეზონში გახდა ბუნდესლიგის ისტორიაში პირველი მწვრთნელი, რომელმაც გერმანიის ჩემპიონის ტიტული და თასი ზედიზედ ორჯერ მოიგო.

პაპუნა კედია

ბარაგანი გაჯანჯლდა

ესპანური „დეპორტივო“ საცაა ანტონიო ბარაგანის შეიძენს, რომელსაც პირინეებზე ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მოთამაშედ მიიჩნევენ. 19 წლის მცველი 2005 წლის ივლისის მერე „ლივერპულის“ საკუთრებაა, მას შემდეგ, რაც „სევილიას“ პროფესიულ კონტრაქტზე უარი უთხრა და მერსისაიდული კლუბს მიაშურა, თუმცა „ლივერპულში“ მხოლოდ ერთხელ ითამაშა, ისიც შეცვლაზე.

წესით, ეს ტრანსფერი რამდენიმე დღის წინ უნდა შემდგარიყო, მაგრამ მოლაპარაკება ბოლო მომენტში გაჯანჯლდა. ამბობენ, ახლა ყველაფერი მოგვარდა და ბარაგანი ლაკორუნიელებთან დღე-დღეზე მოაწერს ხელს ხუთწლიან კონტრაქტსო.

„მხოლოდ ფორმალური მხარე დარჩა და ანტონიო ჩვენი ფეხბურთელი გახდება, რაც გვახარებს. იგი ძალიან ნიჭიერია“ — თქვა „დეპორტივოს“ პრეზიდენტმა აუგუსტო სეზარ ლენდოროომ.

თავად ბარაგანი ამჟამად პოლონეთში იმყოფება, სადაც ევროპის ცხრამეტწლამდელთა ჩემპიონატზე ითამაშებს.

კოკი კანდელაკი

პატარები ევროპას პოლონეთში ნახავენ

დღეს პოლონეთში 19-წლამდელთა შორის 2006 წლის ევროპის ჩემპიონატი იწყება. ესპანეთის ნაკრები შეეცდება, კონტინენტის პირველობა ბოლო ხუთ წელიწადში მესამედ მოიპოვოს. თუმც ხინეს მელენდესის ფეხბურთელებს რთული ბრძოლების გადატანა მოუწევთ — ესპანელები **B** ჯგუფში გაამწესეს პორტუგალიასთან, შოტლანდიასთან და 2005 წლის იუნიორთა ევროპის ჩემპიონატის (17-წლამდელთა ტურნირი) მომგებ თურქეთთან ერთად. **A** ჯგუფში კი მასპინძელი პოლონეთის, ავსტრიის, ბელგიისა და ჩეხეთის ნაკრებები ითამაშებენ. თითოეულ ამ გუნდს სიურპრიზის შეთავაზება შეუძლია.

თითოეული ნაკრები ჯგუფურ ეტაპზე სამ მატჩს ითამაშებს, ხოლო გუნდები, რომლებიც ჯგუფში პირველ-მეორე ადგილს დაიკავებენ, 26 ივლისს ნახევარფინალებში იბრძოლებენ. ფინალი კი შაბათს, 29 ივლისს, გაიმართება. ევროპის ჩემპიონატის პირველი სამი პრიზიორი 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს მიიპოვებს.

ლადო ხომერიკი

ფეხბურთის რუკასთან

შოტლანდიურმა „რეინჯერსმა“ სენეგალელი მახტარ ნდიაიე შეიძინა და ერთწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. 24 წლის ნახევარმცველი კლავ პოლ ლე გუენის გუნდში მოხვდა, რომლის ხელქვეითაც „რენში“ უთამაშია. ნდიაიემ გასული სეზონი შვეიცარიის „ჟენერდონში“ გაატარა, ამ ზაფხულს კი ორი კვირით ჩავიდა გლაზგოში. „რეინჯერსთან“ ვარჯიშობდა და ლე გუენს თავი მოაწონა.

ინგლისური „უიგანი“ „ალკმაარიდან“ დენი ლანძაატის გადაბირებას აპირებს. 30 წლის ლანძაატი ბარსელონის „ესპანიოლსაც“ სურდა, მაგრამ „უიგანის“ მწვრთნელი პოლ ჯუელი თავისკენ ეჭაჩება: „იგი სწორედ ის ფეხბურთელია, ჩემი გუნდის ნახევარდაცვას ძალიან რომ მოუხდება და მჯერა, დენი პრემიერლიგაში გადმოსვლას არჩევს“.

ხორვატიის ნაკრების ყოფილი ნახევარმცველი იასმინ აგიჩი ზაგრების „დინამოში“ გადავიდა. 32 წლის აგიჩმა წელიწადნახევარი სამხრეთ კორეის „ინჩეონ იუნაიტედში“ გაატარა და ახლა საშობლოში დაბრუნდა. ხორვატი ფეხბურთელი „დინამოს“, რომელიც ქვეყნის ჩემპიონია, ორწლიანი კონტრაქტით შეეკრა.

ფრანგულმა „ტულუზმა“ ბრაზილიური „სანტოსიდან“ ფაბინიო იყიდა. უცნობია, თუ რა თანხის სანაცვლოდ წაიყვანეს ფრანგებმა 26 წლის ნახევარმცველი. „სანტოსამდე“ ფაბინიოს იაპონიის „ოსაკაში“ უთამაშია, ასევე „კორინთიანსში“ ქვეყნის თასი მოუგია.

ჰოლანდიური „ჰერენვენის“ ნახევარმცველი არნოლდ ბრუგინკი გერმანულ „ჰანოვერში“ გადაბარგდა და სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 28 წლის ფეხბურთელს „ჰერენვენთან“ კონტრაქტი დაუსრულდა და ბუნდესლიგურ კლუბს უფასოდ ერგო. ბრუგინკს, ვისაც 100-ზე მეტი გოლი გაუტანია, „ტვენტეში“, პსვ-ში და „მალიორკაშიც“ უთამაშია.

ბრაზილია

სერია A. XII ტური

ბოტაფოგო — პონტე პრეტა 4:1; სან პაულუ — ფიგეირენსე 2:1; პარანა — ატლ. პარანენსე 2:1; ფლამენგო — ვასკუ და გამა 0:1; კრუზეირო — გოიასი 0:0; გრემიო — ფლუმინენსე 4:4; ფორტალეზა — სანტა კრუზი 1:4; ფუვენტუდე — ინტერნასიონალი 2:0; პალმეირასი — კორინთიანსი 1:0; სან კეტანო — სანტოსი 2:0

ჩილე

პრიმერა დივიზიონი. I ტური

უნიონ ესპანიოლა — კოკიმბო 1:1; რეინჯერსი — პალესტინო 3:1; ევერტონი — პუერტო მონტი 1:2; კობრელოა — უაჩიპატო 1:1; სან მორნინგი — უონდერერსი 1:1; ლა სერენა — აუდაქს იტალიანო 2:1; კობრესალი — ანტოფაგასტა 1:0. *უნივერსიდად კათოლიკა — უნიონ კონსეპსიონი გადაიდო*

ამჟანაგური მატჩები

ემპოლი (იტალია) — გამბაზი (იტალია) 12:0; რომა (იტალია) — ტიმოშოარა (რუმინეთი) 1:0; ფიორენტინა (იტალია) — ტრენტინო (იტალია) 8:0

სარბიელი & კროკო

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ავსტრია. ბუნდესლიგა						
		18 ივლისი						
21:30	1	აუსტრია-გრაცერი	1.45	3.70	5.80	1.04	1.15	2.25
		19 ივლისი						
21:30	2	ალტახი-პაპინგი	2.50	3.10	2.55	1.38	1.26	1.39
21:30	3	მატერსბურგი-რაპიდი	2.50	3.10	2.55	1.38	1.26	1.39
21:30	4	რიდი-ზალცბურგი	3.40	3.20	1.95	1.64	1.23	1.21
21:30	5	შტურმი-ტიროლი	2.00	3.20	3.25	1.23	1.23	1.61
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		19 ივლისი						
21:45	11	აარაუ-თუნი	2.25	3.20	2.80	1.32	1.24	1.49
21:45	12	გრასჰოპერი-სიონი	1.75	3.20	4.20	1.13	1.23	1.81
21:45	13	შაფჰაუსენი-სტ.გალენი	2.45	3.10	2.55	1.36	1.24	1.39
21:45	14	იანგ ბოიზი-ბასელი	2.80	3.20	2.25	1.49	1.24	1.32
22:15	15	ლუცერნი-ციურიხი	3.40	3.20	1.95	1.64	1.23	1.21
		რუსეთი						
		19 ივლისი						
16:00	30	მოსკოვი-ტორპედო	1.75	3.20	4.20	1.13	1.23	1.81
16:00	31	დინამო-რუბინი	2.25	2.90	2.95	1.26	1.27	1.46
16:00	32	სენიტი-ცსკა	2.85	2.80	2.45	1.41	1.31	1.30
		დანია. სუპერლიგა						
		19 ივლისი						
21:00	46	ოლბორგი-ვიბორგი	2.10	3.30	3.20	1.28	1.26	1.62
21:00	47	ბრაინდბიუ-ვეიულე	1.17	5.80	13.00	1.00	1.07	4.01
21:00	48	ესბიერგი-სილკებორგი	1.85	3.40	3.85	1.19	1.24	1.80
21:00	49	ჰორსენსი-კოპენჰაგენი	8.00	4.00	1.40	2.66	1.19	1.03
21:00	50	ნორდსიელანდი-რანდერსი	1.75	3.40	4.50	1.15	1.25	1.93
21:00	51	ოდენსე-მიდტიულანდი	1.85	3.40	3.90	1.19	1.25	1.81
		შვედეთი. ალსვენსკა						
		18 ივლისი						
21:00	76	გაის-გეფლე	2.10	3.30	3.20	1.28	1.26	1.62
		19 ივლისი						
21:00	77	იორგრიტე-კალმარი	2.75	3.30	2.35	1.50	1.26	1.37
		ირლანდია						
		18 ივლისი						
22:45	94	ბრეი-სლიგო	2.90	3.10	2.15	1.49	1.23	1.26
22:45	95	ლონგფორდი-სტ.პატრიკსი	2.60	3.00	2.50	1.39	1.27	1.36
		ჩემპიონთა ლიგა						
		18 ივლისი						
19:00	147	ეკრანასი-ელბასანი	1.90	3.30	3.45	1.20	1.22	1.68
21:00	148	შერიფი ტირასპოლი-პიუნიკი	1.45	3.60	6.00	1.03	1.16	2.25
22:00	149	რაბოტნიკი-დუდელანჟე	1.15	5.50	13.00	1.00	1.05	3.86
		19 ივლისი						
18:00	150	აკტობე-მეტალურგი ლ	2.55	3.20	2.35	1.41	1.22	1.35
20:30	151	აპოლონი ლ.-კორკი ს	1.70	3.40	4.30	1.13	1.21	1.89
21:05	152	გორიცა-ლინფილდი	1.20	5.40	9.00	1.00	1.05	3.37
22:00	153	ბ 36ტორშავნი-ბირკირკარა	1.60	3.50	4.80	1.09	1.20	2.02
22:30	154	შირიკი ბრიეგი-შახტიორი სოლ	1.85	3.50	3.40	1.21	1.19	1.72
22:30	155	ტნს-მიუპა	3.60	3.20	1.85	1.69	1.22	1.17
23:15	156	პაფნარფიორდური-ტვმკ ტალინი	1.55	3.50	5.40	1.07	1.20	2.12
		ამხანაგური მატჩები						
		18 ივლისი						
21:00	157	ტოტენჰემი-სელტა(ნ)	1.90	3.20	3.20	1.19	1.19	1.60
20:00	162	ლე მანი-ლე ავრი	1.80	3.00	4.20	1.12	1.25	1.75
20:00	164	ნიცა-სოშო	2.20	2.90	3.10	1.25	1.28	1.49
		ევროპის ჩემპიონატი (19) პოლონეთი						
		18 ივლისი						
20:00	311	ბელგია(19)-ჩეხეთი(19)	4.20	3.20	1.70	1.81	1.21	1.11
20:00	312	ესპანეთი(19)-თურქეთი(19)	1.55	3.40	5.00	1.06	1.18	2.02
20:00	313	შოტლანდია(19)-პორტუგალია(19)	6.00	3.40	1.40	2.17	1.13	1.00
20:00	314	პოლონეთი(19)-ავსტრია(19)	2.10	3.10	2.70	1.25	1.18	1.44
		ლიბერტადორესის თასი						
		18 ივლისი						
23:45	259	ლიბერტადი-რივერ პლეიტი	2.70	3.00	2.25	1.42	1.22	1.28
		19 ივლისი						
23:45	260	ინტერნასიონალი-ქუიტო	1.35	3.70	7.00	1.00	1.13	2.42
23:45	261	სან პაულუ-ესტუდიანტესი	1.40	3.50	6.50	1.00	1.15	2.27
		20 ივლისი						
23:45	262	ველესი-ჩივასი	1.70	3.20	4.30	1.11	1.21	1.83

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10 — კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46 — მეტრო „ეიქტორ გოკირიძესთან" (ყოფილი „დელისი")
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 — ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50 — მეტრო „ლრმაღელესთან"
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11
	ჭავჭავაძის გამზირი № 41
	გამსახურდიას გამზირი № 3
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13 — დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი
	მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა
	მელიქიშვილის ქუჩა №15
	ისანი -კახეთის გზატკეცილი — ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141
	მოსკოვის გამზირი №6
ქუთაისი	ცისფერყანწელთა ქუჩა №4
გორი	სტალინის ქუჩა №14
თელავი	ერეკლე მეორის-ის ქუჩა №6
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 21
ოზურგეთი	იოანე პეტრიწის ქუჩა №3
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30
სამტრედია	თამარ მეფის №1
წნორი	სტალინის ქუჩა №1
რუსთავი	შარტავას ქუჩა №17-29
ზესტაფონი	დავით აღმაშენებლის №39
გარდაბანი	დავით აღმაშენებლის №12

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ჰერბერტი არ მიდის, ტრაიანო მოდის

კანადელი თავები საქართველოს ნაკრების სათავეში

ბოლო დღეებში სპორტულ პრესაში აგორდა, მაგრამ რა აგორდა... გორდონ ჰერბერტი ნაკრებიდან დაითხოვეს, მის ნაცვლად კი „ტორონტო რეპტორზის“ ასისტენტი მწვრთნელი ჯეი ტრაიანო დანიშნესო. ამ ინფორმაციის წყაროდ კანადური პრესა სახელდებოდა, ხოლო იმათზე, ვინც საქართველოს ნაკრების ბედ-იღბალს რეალურად განაგებს, იწერებოდა, სიმართლეს მალავენ და კანადელი სპეციალისტის მოწვევის ამბავს არ გვიდასტურებენო. გუშინ კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ბესიკ ლიპარტელიანს შევეხმიანეთ და ვითარებაში გარკვევა ვხოვეთ. პრეზიდენტმა თავისთან მიგვიწვია და ვიცე-პრეზიდენტ ლაშა ძიძავასთან ერთად ნათელი მოჰფინა ყველაფერს. სანამ ქართული კალათბურთის გამგებელთა ნაუბარს გამცნობდეთ, გეტყვით, რომ გორდონ ჰერბერტი არსადაც არ მიდის, ის საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბში იქნება. მეტიც, ეროვნული გუნდის მმართველ შტაბში იმუშავებს კენ ატკინსონიც, რომელიც ჰერბერტის თანაშემწე იყო პარიზის „რასინგში“.

ჰერბერტი ნაკრებში რჩება და შესაძლოა, ის ისევ მთავარი მწვრთნელი იყოსო — ეს იყო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ლაშა ძიძავას პირველი სიტყვები...



გორდონ ჰერბერტი და ჯეი ტრაიანო: რომელი იქნება მეთაური, თავად გაარკვევენ

„რა ჰერბერტის გაშვებაზეა ლაპარაკი, როცა თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებაზე ვმუშაობთ და ამას ამ დღეებში მივაღწიეთ კიდეც — განაგრძო ლაშა ძიძავამ — როგორც იცით, კიმ შილდსმა საქართველოს ნაკრებში მუშაობაზე პირადი მიზეზების გამო თქვა უარი და ჰერბერტმაც ახალი თანაშემწის აყვანაზე დაიწყო ფიქრი. ამ დღეებში მან 2 სპეციალისტთან მიაღწია შეთანხმებას — ჯეი ტრაიანო და კენ ატკინსონი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მუშაობაზე დაიყაბულა. ამით ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ მწვრთნელის საკითხი საბოლოოდ გადავჭერით. ტრაიანო უმაღლესი დონის სპეციალისტია, არც ჰერბერტი და ატკინსონი არიან ნაკლებნი. ასე რომ, საქართველოს ნაკრებს ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესი სამწვრთნელო შტაბი ეყოლება“.

ცხადია, საინტერესოა, ვინ უთავკაცებს ჩვენს ეროვნულ გუნდს. ჰერბერტი თითქოს მთავარ მწვრთნელად აიყვანეს, ახლა კი ამ საკითხს კითხვის ნიშანი დაესვა. ბესიკ ლიპარტელიანმა ამაზეც ამომწურავი ინფორმაცია მოგვაწოდა:

„როცა ჰერბერტმა საკუთარი ასისტენტები დაგვისახელა, წინაამდეგი როგორ წავიდოდით. ჯეი ტრაიანო 7 წელი სათავეში ედგა კანადის ნაკრებს და საკმაო წარმატებებსაც მიაღწია ოლიმპიადასა თუ მსოფლიოს ჩემპიონატზე. ტრაიანოს თითქმის ყველა წარმატების დროს გვერდში ედგა ჰერბერტი. ის მისი ასისტენტი იყო. ჰოდა, გორდონმა ამ დღეებში მოგვწერა, შესაძლოა, საქართველოს ნაკრებს ტრაიანომ უთავკაცოს, მე, ატკინსონი და დავით უსიტაშვილი კი მისი თანაშემწეები ვიქნებითო. ეტყობა, იგი გრძნობს გარკვეულ უხერხულობას — 7 წელი ტრაიანოს ასისტენტი იყო და ახლა პირიქით უნდა იყოს, თუმც ეს საკითხი ჯერ არ გარკვეულა. საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბში 4 მწვრთნელი იქნება, ხოლო ვინ იუფროსებს და ვის ასისტენტობა დაეკისრება, ამას თავად შტაბის წევრები გადაწყვეტენ.“

დღესდღეობით გორდონ ჰერბერტი ამერიკაშია, „სან ანტონიოში“ გადის სტაჟირებას და იქიდან რომ მობრუნდება, საბოლოო სიტყვასაც მაშინ იტყვის. დავით უსიტაშვილისა და კენ ატკინსონის მთავარმწვრთნელობა გამორიცხულია — ისინი ასისტენტები იქნებიან. ჰერბერტი ან ტრაიანო — ამ ორიდან ერთ-ერთი ნაკრების სამწვრთნელო შტაბის უფროსი იქნება. საქართველოს ნაკრების გამგებლებმა ბოლოს ისიც გვითხრეს, რომ, თუ თავად გადაწყვეტენ, ეგებ მთავარი მწვრთნელობა ორივემ შეითავსოსო.

ირაკლი პერტაია

კობი და ჯერი

დრიმ თიმს ბრაიანტიც მოსწყდა



ამერიკელებს მსოფლიოში საუკეთესო მოთამაშეები კი ჰყავთ, მაგრამ დროება დაუდგათ ისეთი, რომ მსოფლიოს ჩემპიონობა ოცნებად გადაექცათ. ჩემპიონობა იქით იყოს და, ოთხი წლის წინ მშობლიურ ინდიანაპოლისში გამართულ მუნდიალზე კალათბურთის მეფეებმა სულაც მეექვსე ადგილი დაიკავეს, ამით შეფუცხუნებულებს კი საგანგებოდ ნარჩევი ნაკრები ახლა თვალს და ხელს შუა ენგრევათ.

იაპონიაში გასამართი მსოფლიოს პირველობისთვის სამზადისი ამერიკელებს ჯერ არც კი დაუწყიათ, თუმც აგერ უკვე მეექვსე და წინამორბედ „რენეგატებზე“ გაცილებით სახელიანი ვარსკვლავი მოისაკლისეს. კობი ბრაიანტი, გასული რეგულარული ჩემპიონატის არქიმექულე და ლიდერად დაბადებული კალათბურთელი მარჯვენა მუხლის ტკივილს ისე შეუწუხებია, სარეაბილიტაციოდ მინიმუმ 12 კვირა სჭირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ „დრიმ თიმს“ იაპონიაში ვერ დაეხმარება.

ამას წინათ ნაკრებს პირადი პრობლემების გამო დაეთხოვა ბრაიანტის ლეიკერსელი თანამებრძოლი, ფარქვეშა ბრძოლებში სახელგანთქმული ლამარ ოდომი, ხოლო კიდევ ერთი ვარსკვლავი, „ბოსტონ სელტიკსის“ სული და გული პოლ პირსი იდაყვზე გადასატანი ოპერაციის მიზეზით ჩამოშორდა ნაკრებს.

გუნდს იაპონიაში ვერც „დეტროიტის“ კაპიტანი ჩონსი ბილაფსი და „მილუოკის“ ლიდერი მაიკლ რედი წაყვებიან.

ამ ღლავებთან ვერაფრით მივა, თუმც „ორლანდოს“ მიერ ახლახან დრაფტზე მე-11 ნომრად არჩეულ ჯეიჯეი რედიკის გამოკლებაც ერთგვარ ფსიქოლოგიურ დარტყმად უნდა ჩაითვალოს გვიანი გაზაფხულის თოვლივით მდნარი ამერიკის ნაკრებისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ 19 სექტემბრამდე ბრაიანტის მომჯობინება თითქმის გამორიცხულია, ამერიკელთა ნაკრების უფროსი ჯერი კოლანჯელო მაინც არ აპირებს კობის გარეშე იაპონიაში წასვლას.

„კობის იმხელა ავტორიტეტი აქვს, მოედანზე რომც არ გავიდეს, მაინც გვარიანი ძალა და სტიმული იქნება ჩვენი ნაკრებისთვის. ის „დრიმ თიმს“ სათადარიგოთა სკამიდანაც კარგად ულიდერებს.“

აღსანიშნავია, რომ ბრაიანტს ამერიკის ეროვნულ გუნდში არასდროს უთამაშია. 2002 წლის მუნდიალზე ის ყოყლოჩინობისა და თვითდაჯერებულობის გამო არ იყო ნაკრებში, ხოლო ათენის ოლიმპიურ თამაშებს ის ცნობილი სკანდალი დაემთხვა, რომელშიც კობის სექსუალურ ძალადობაში სდებდნენ ბრალს.

ათენური ჩაფლავების შემდეგ (ბრინჯაოს მედალი სწორედაც რომ ჩაფლავებაა ამერიკელებისთვის) „დრიმ თიმის“ შერჩევა ცნობილ საკალათბურთო მოღვაწეს, გონებამახვილობითა და გაქნილობით განთქმულ ჯერი კოლანჯელოს მიანდეს. ჯერიმ კობი ნაკრებში თამაშზე მალევე დაითანხმა, მაგრამ ეს ოხერი მუხლის ტრავმა გამოტყვრა და ბრაიანტიც ამომავალი მზის ქვეყანაში თამაშგარე ლიდერად თუ წავა.

ირაკლი პერტაია



ზო დარჩა

ღირსებას ფულით ვერ დაიცავ

აფსუს, ეს კაცი ერთ საჩემპიონო ბეჭედს უთუოდ იმსახურებდაო — ალბათ ასე იტყოდნენ ალონზო მურნინგზე, „მაიამის“ გასულ სეზონში მოულოდნელად რომ არ მოეპოვებინა ტიტული. 13-წლიანი კარიერის მანძილზე ეს იყო „ზოს“ პირველი ჩემპიონობა. გვარიანად მობერებულმა და მრავალტანჯულმა მურნინგმა მიაღწია იმას, რაც აუხდენელ ოცნებად დაურჩათ მასზე დიდ კარლ მელოუნს, ჩარლზ ბარკლის, პატრიკ იუინგს...

...მაგრამ „მაიამიმ“ ფინალში „დალასი“ დასცა და მურნინგმაც წასვლის დროაო, თქვა მაშინ. „ზოს“ ეს განზრახვა არ მოუწონეს თანაგუნდელებმა და მანაც გადაწყვიტა, ოჯახთან მოლაპარაკების შემდეგ ეთქვა საბოლოო სიტყვა.

გუშინწინ 36 წლის ალონზო მურნინგმა მზრუნველობას მოკლებული ბავშვებისთვის საქველმოქმედო ღონისძიება გამართა, სადაც განაცხადა, „მაიამიში“ ვრჩებიო.

მურნინგმა გასულ სეზონში ვეტერანთათვის დაწესებული მინიმუმი, 1,1 მილიონი დოლარი მიიღო ჯამაგირად, თუმც მოედანზე მისი ნაჯაფრის გათვალისწინებით უფრო მეტს იმსახურებდა. „ზო“ საშუალოდ 20 წუთი თამაშობდა და 7,8 ქულას, 5,5 მოხსნასა და 2,6 დაფარებას იხვეჭდა. ის გახლდათ შაკილ ონილის შემცვლელი და როცა ეს უკანასკნელი ტრავმიანობდა, „მაიამის“ სასტარტოში 20-ჯერაც ითამაშა.

ამ თანხაზე მეტს მას „სან ანტონიო“ და ნბა-ს სხვა კლუბები სთავაზობდნენ, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა ფინანსურ ინტერესზე მაღლა დგას ღირსების დაცვა.

„მაიამიში“ ტიტულის შესანარჩუნებლად ვრჩებიო, თქვა მურნინგმა და ფლორიდულ გუნდში ვეტერანის მინიმალური ხელფასით კიდევ ერთ სეზონს ითამაშებს.

ირაკლი პერტაია

დანტონის ტონი: ნიკა, კიდევ სცადე

ფინიქსის თავჯაცი ცქიტიშვილში ჯიუტადაა დარწმუნებული

ამერიკაში მაიკ დანტონის ყველა იცნობს, ვინც კალათბურთში თუნდაც ცალი თვალითაა ჩახედული. იტალიური ფესვების მქონე ამერიკელმა კარგი მწვრთნელის სახელი ბებერ კონტინენტზე დაიგდო, სამი წლის წინ კი ის სამშობლოში მიიწვიეს და ნბა-შიც თქვა თავისი სიტყვა — 2005 წელს სეზონის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელს, მისი „ფინიქს სანზი" კი ბოლო ორი წელია, ჩემპიონობისთვის იბრძვის.

მაიკ დანტონი ჩვენთვის სხვა მხრივაც საინტერესო რესპოდენტია — 2002 წელს ტრევი ზოს „ბენეტონში" მისი შეგირდი გახლდათ ნიკა ცქიტიშვილი, რომელიც ნბა-ში სწორედ დანტონის რეკომენდაციით მოხვდა. ცქიტიშვილი ბოლო რამდენიმე თვე მის „ფიქნისში" თამაშობდა. „სკიტას" ათამაშება და ნბა-ში ფეხის მყარად მოკიდება ჩემი პრესტიჟის საქმეაო, გვითხრა ნბა-ს ერთ-ერთმა ყველაზე სახელიანმა მწვრთნელმა, როდესაც „სანზის" პრესცენტრის მეშვეობით ფინიქსში დავუკავშირდით.

— პირველ რიგში, ნიკა ცქიტიშვილის ამბავი გვაინტერესებს. „ფინიქსიდან" მისი წასვლა საბოლოოდ გადაწყვეტილია?

— შეიძლება ასეც ითქვას. „სკიტა" პრაქტიკულად წასული იყო, „პორტლენდში" თითქმის მოეწყო, მაგრამ ბოლო წამს შეთანხმება აღარ შედგა. ახლა ფინიქსშია და ინდივიდუალურად ვარჯიშობს. მისი მომავალი კლუბი უახლოეს დღეებში გაირკვევა.

— არის შანსი, რომ „ფინიქსში" დარჩეს?

— ახლა ისეთი ვითარებაა, ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

— თქვენ გაქვთ ამის სურვილი?

— რა თქმა უნდა. მიმაჩნია, რომ ნიკა ერთ-ერთი საუკეთესო სათადარიგო მოთამაშეა „ფინიქსში". ამასთან, როდესაც „სკიტა" დრაფტზე დააყენეს, ერთ-ერთი პირველი ვიყავი, ვინც მას რეკომენდაცია გაუწია. მაშინ ერთად ვმუშაობდით იტალიურ „ბენეტონში" და „სკიტას" მონაცემები კარგად ვიცოდი. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩემი, როგორც სპეციალისტის ავტორიტეტის და პრესტიჟის საქმეა, რომ ჩემი რეკომენდაციით დრაფტზე მოხვედრილმა ევროპაშიც კი უცნობმა კალათბურთელმა გაამართლოს. ეს პრინციპული საკითხია. რაც არ უნდა იყოს, თუ სასურველი უცნობი კალათბურთელის აყვანა მომინდა, კლუბის ბოსებს ეჭვი არ უნდა შეეპაროთ, რომ არჩევანში ვცდები. თუმც შეცდომისგან არავინაა დაზღვეული.

— ცქიტიშვილის შემთხვევაში შეცდით?

— არა, ჯიუტად მგონია, რომ ნიკა სადაცაა გაიხსნება და თავის ადგილს იპოვის ნბა-ში.

— ამიტომაც გადმოიყვანეთ „ფინიქსში"?

— დიახ. ნიკასი ყოველთვის მჯეროდა და ახლაც მჯერა. გასათვალისწინებელია, რომ „სკიტა" გახურებული სეზონისას ავიყვანეთ. გაუჭირდა აწყობილ გუნდში ჩაჯდომა. მესმის მისი, ძალიან ძნელია გაგანია სეზონისას ჩემპიონობისთვის შებრძოლ გუნდში უცებ იპოვო შენი ადგილი. ვფიქრობ, მას დრო სჭირდება.

— თქვით, რომ ცქიტიშვილის დატოვების სურვილი გაქვთ. ამის შესახებ კონკრეტული საუბარი იყო?

— ერთია ჩემი სურვილი და მეორეა კლუბის ბოსების საბოლოო გადაწყვეტილება. „სკიტა" ახლა თავისუფალი აგენტია, რაც მისთვის უდიდესი კოზირია. თავისი ბედის განმკითხავი ახლა მხოლოდ ისაა და შეუძლია, თამამად წარმართოს მოლაპარაკება. რაც ჩემგან იქნება დამოკიდებული, ყველაფერში დავეხმარები. ისე კი „სკიტას" სასურველი კონტრაქტის გაფორმება არ უნდა გაუჭირდეს.

— ხომ არ ურჩევდით, რომ ევროპაში დაბრუნდეს?

— ჯერ ადრეა. ჩემი აზრით, ნიკამ ერთი წელი კიდევ უნდა სცადოს ნბა-ში დამკვიდრება. თუ ეს ვერ მოახერხა, მერე უჯობს, ევროპაში დაბრუნდეს. დარწმუნებული ვარ, ცქიტიშვილი ევროგრანდის შემადგენლობაში იოლად მოხვდება.

— ნბა-ში სხვა ქართველიც თამაშობს — ზაზა ფაჩულია...

— ზაზას თამაში მინახავს და ძალიან მომეწონა. ფიზიკურად მშვენივრად არის მომზადებული და ცენტრისთვის არადამახასიათებელი სისწრაფე და მოქნილობა აქვს. მომავალი სეზონი ზაზასთვის უფრო წარმატებული უნდა გამოდგეს. რაც მთავარია, ფაჩულია გაბედული მოთამაშეა და კომპლექსები არ აქვს. ნბა-ში დასამკვიდრებლად ეს თვისებები აუცილებელია,

— „ფინიქსზეც" გკითხავთ. როგორ ფიქრობთ, რა დააკლდა „ფინიქსს" პლეი ოფის ფინალში გასასვლელად?

— პასუხი ცალსახაა — გრძელი სათადარიგო სკამი. მთელი სეზონი, ძირითადად, სამი-ოთხი კალათბურთელით ვითამაშეთ, პლეი ოფს კი გუნდი გადაღლილი შეხვდა. მოთამაშეებს კუნთები ისე სტკიოდათ, რომ კალათში ბურთს ხეირიანადაც ვეღარ ესროდნენ. აღარაფერს ვამბობ პრესინგის ორგანიზებაზე და სწრაფ შეტევებზე.

— ესე იგი ფინალში ვერგასვლის მიზეზი გადაღლილობა იყო?

— ესეც და ცოტაოდენი უიღბლობაც. ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში ტრავმა მიიღო ამარე სტუდმაიერმა, რითაც პრაქტიკულად ხერხემალი გამოგვეცალა. ძალიან ძნელია ორმა კაცმა ათრიოს ბოლომდე გუნდი — სტივ ნეშს და შონ მერიონს თავი არ დაუზოგავთ, მაგრამ ისინიც ადამიანები არიან, მათ გამძლეობასაც აქვს ზღვარი. ერთი კაცი მარტო რას გახდება. ამას თვით მაიკლ ჯორდანიც ვერ აკეთებდა.

— დრო რომ უკან დაბრუნდეს, რას შეცვლიდით?

— რეგულარულ სეზონში გუნდს მცირე მოდუნების საშუალებას მივცემდი. ყველაზე მეტად, ალბათ, იქ შევცდი, რომ პლეი ოფისთვის ისედაც განახევრებული გუნდი არ დავასვენე.

— ფინალში რომ გასულიყავით, ჩემპიონობას შეძლებდით?

— „მაიამი" — „დალასის" ფინალური სერიის ყველა მატჩი ვნახე და ვერ ვიტყვი, რომ ამ გუნდებმა ისე ითამაშეს, ჩვენ რომ არ შეგვეძლო. ვფიქრობ, ჩემპიონობის რეალური კანდიდატები ვიყავით...

— დღესდღეობით ვინ მიგაჩნიათ ნბა-ს საუკეთესო კალათბურთელად?

— დირკ ნოვიცკი.

— ევროპელი რომ არის, იმიტომ?

— თუნდაც მაგიტომ. მაიამელმა დუეინ უეიდმა მართლაც ფანტასტიკური სეზონი ჩაატარა, მაგრამ, ჩემი აზრით, დირკ ნოვიცკი მაინც საუკეთესო იყო.

— ევროპული კალათბურთი ძალიან ჩამორჩება ამერიკულს?

— ასე ვერ ვიტყოდი. პირიქით, ბოლო წლებია, მათ შორის დონე თანდათან თანაბრდება. სტატისტიკურად სეზონიდან სეზონამდე ნბა-ში ევროპელთა რაოდენობა თითქმის ორმაგდება. ამერიკელი კალათბურთელები კი სულ უფრო და უფრო მომრავლდნენ ევროპაში. ამით იმის თქმა მინდა, რომ ევროპელები, მართალია ჯერ მცირე პროცენტით, მაგრამ მაინც ავიწროვებენ ამერიკელებს. ამასთან, არ დაგვავიწყდეს, რომ გამოჩნდნენ არგენტინელები, ბრაზილიელები... ერთი სიტყვით, ამერიკა აღარ არის უპირობო პირველი ნომერი და ეს ჩვენი ბრალიცაა, დიდ ტურნირებს არასერიოზულად რომ ვუდგებით. იმედია, „დრიმ თიმი" კვლავ დაიბრუნებს ძველ დიდებას.

ბაჩო სვანიძე

მაიკლ დანტონი და სტივ ნეში

მეხუთედ პორტუგალია და საქართველოს მეხუთე

საქართველოს შვიდკაცა ნაკრებმა მოსკოვში ევროპული შვიდკაცას გადამწყვეტ ფინალურ ეტაპზე მეხუთე ადგილი დაიკავა და საამადგილო სარგო სინი ერთი წლით დაისაკუთრა.

უქმეებზე მოსკოვში გამართული თორმეტგუნდა ფინალის დებიუტშივე ჩვენებმა ჯგუფში საფრანგეთთან და იტალიასთან წააგეს, მაგრამ შემდეგ შინდისფერი კვარი თეთრზე გადაცვალეს და მიჯრით ხუთი მეტოქე მიანგრიეს. მეხუთე ადგილის და სინის აღებით ქართველებმა ბლომად სარეიტინგო ქულები მითვალეს და სადაც სამართალია, რაგბის საერთაშორისო საბჭომ საქართველო გაისად მსოფლიო სერიის ორ ევროპულ ეტაპზე მაინც უნდა. აღადგინოს.

შეგახსენებთ, რომ ბოლო ორი წელია, ქართველი მოშვიდკაცეები ძველებურად ვეღარ ჩაუქობენ და რაგბის საერთაშორისო საბჭომ ჩვენები მსოფლიოს სერიებიდან ამად ამოშალა.

რაც შეეხება თავად ტურნირს, თასი ზედიზედ მეხუთედ მოიგო პორტუგალიამ, ვინაც ფინალში მასპინძელი რუსეთი 19:7 მიანგრია. ფინალში გასვლა და თასისთვის ბრძოლა ჩვენებსაც შეეძლოთ, საამისოდ ჯგუფის ბოლო ტურში მოლდოვისგან იტალიის ძლევა აწყობდათ, მაგრამ საფინალო სასტვენამდე სამი წუთით ადრე იტალიელებმა გამარჯვების ლელო გაიტანეს, ჯგუფში საქართველოს გადაასწრეს და თასისთვის ბრძოლა მათ განაგრძეს.

ბაჩო სვანიძე

საქართველო მოსკოვის შვიდკაცაზე

ჯგუფური ეტაპი

საქართველო 5:26 საფრანგეთი
საქართველო 7:12 იტალია
საქართველო 24:7 უკრაინა
საქართველო 29:14 მოლდოვა
საქართველო 38:0 ლიტვა

მეხუთე ადგილისთვის

საქართველო 36:0 ესპანეთი
საქართველო 22:19 რუმინეთი

ევროპის შვიდკაცას ყველა ფინალი

2002. ჰაიდელბერგი. გერმანია
პორტუგალია 24:14 საქართველო

2003. ჰაიდელბერგი. გერმანია
პორტუგალია 26:21 საფრანგეთი

2004. პალმა. ესპანეთი
პორტუგალია 21:14 იტალია

2005. მოსკოვი. რუსეთი
პორტუგალია 28:26 რუსეთი

2006. მოსკოვი. რუსეთი
პორტუგალია 19:7 რუსეთი

ნაბიჯი უკან

სადევისთასო მატარებელი გდანსკს მიადგა

მაკა ჩახნაშვილმა კლასიფიკაციის კიბეზე 14 საფეხურით აინაცვლა

გასული კვირა საკმაოდ პასიური გამოდგა ქართველი ჩოგბურთელებითვის. ლადო ჩიხლაძეს თუ არ ჩავთვლით, რომელმაც ავსტრიული კრამშახის თიხაზე **ITF**-ის ეგიდით გამართული ტურნირის მეოთხედფინალს უწია, სხვებს, ფაქტობრივად, არსად უთამაშიათ.

ქალთა კალენდარში გასული კვირა ფედერაციის თასის მატჩების გამო ისედაც ღარიბი იყო და ჩვენებურები არც **ITF**-ის ტურნირებზე გამოჩენილან. გუშინ გამოქვეყნებულ **WTA**-ს ახალ რეიტინგში მოწინავეთა შორის, პრაქტიკულად, არანაირი ცვლილება არ არის. აი, ქვედა ასეულებში კი, სადაც ბინადრობენ კიდეც ქართველები, კლასიფიკაციის საფეხურებზე ლოკალური მონაცვლეობა მოხდა. მაგალითად, ჩვენმა პირველმა ჩოგანმა, მაკა ჩახნაშვილმა, ვისაც 117 სარეიტინგო ქულა აქვს, 14 პოზიციით წინ წაიწია და 224-ე ადგილზე მოიკალათა. პირიქით, უკან დაიხიეს სოფო მელიქიშვილმა, ანა ტატიშვილმა და სალომე დევიძემ. მელიქიშვილმა (81 ქულა) 3 საფეხური დათმო და 275-ეზე დაეშვა; ტატიშვილი, ვისაც 71,5 ქულა აქვს, 6 ადგილით დაქვეითდა და ახლა 304-ე პოზიციაზეა, ხოლო დევიძემ (22 ქულა) სულაც 20 ადგილი დაკარგა და 561-ეზე ჩამოქვეითდა. ათასეულში კიდევ ორი ქართველია — მანანა შაფაქიძე 15,5 ქულით 672-ეა, ხოლო ია ჯიქია (8,5 ქულა) 867-ე ადგილზე იმყოფება.

აი, კაცთა რეიტინგის ზედა ნაწილში კი, იქიდან გამომდინარე, რომ გასულ კვირაში **ATP**-ის სამი ტურნირი გაიმართა, გარკვეული გადაადგილება მოხდა, თუმც ჩვენ ეს ნაკლებად გვაინტერესებს. ჩვენი ყურადღება ირაკლი ლაბაძისა და ლადო ჩიხლაძისკენაა მიპყრობილი და ახალ კლასიფიკაციაში მათ მცირედით უკან დაიხიეს — ლაბაძემ ორი პოზიცია დაკარგა და 284 ქულით 149-ე ადგილზე დაიწია, ხოლო ჩიხლაძე (51 ქულა) 17 საფეხურით ჩამოქვეითდა და ახლა 501-ეა.

ლაბაძემ 2 პოზიცია დათმო **ATP**-ის საჩემპიონო რბოლაშიც და ახლა 33 ქულით 96-ე ადგილზეა.

ასე კია, მაგრამ ირაკლისა და ლადოს რეიტინგული რეგრესი მაინც დროებითი მოვლენა გვგონია და იმედი გვაქვს, რომ მომავალი კვირიდან, როდესაც კვლავ ჩაებმებიან სატურნირო ციებ-ცხელებაში ჩვენებურები, აღმა გააგრძელებენ სვლას.

ამ კვირაში, უფრო სწორად, კვირის ბოლოს — პარასკევს, შაბათსა და კვირას კი ლაბაძეს და ჩიხლაძეს სადევისთასო ბატალიები ელით. თბილისში სამხრეთ აფრიკასთან გამარჯვებული ჩვენი ნაკრები პოლონეთს სტუმრობს და გდანსკის თიხაზე ეცდება სადევისთასო ევროაფრიკული ზონის ლაბირინთებში წინ, პირველი ჯგუფისკენ სავალ გზაზე მორიგი ნაბიჯის გადადგმას. თუ საქართველოს ნაკრებმა პოლონეთშიც მოიგო, მერე ბულგარეთსა და უნგრეთს შორის გამარჯვებულს შეხვდება და იქ წარმატების შემთხვევაში ევროაფრიკული ზონის პირველ ჯგუფში აინაცვლებს. ამ ჯგუფიდან კი ელიტარულ, მსოფლიო ლიგამდე ერთი ნაბიჯიღაა.

გია მუჯირი

ATP-ის განთესვის რეიტინგი

1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	7260
2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	5125
3. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	3185
4. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია)	3125
5. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)	2210
6. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	2155
7. ტომი რობრედო (ესპანეთი)	2050
8. მარიო ანჩიჩი (ხორვატია)	1985
9. რადეკ სტეფანეკი (ჩეხეთი)	1925
10. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი)	1857
11. ენდი როდიკი (აშშ)	1805
12. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)	1700
13. იარკო ნიემინენი (ფინეთი)	1665
14. გასტონ გაუდიო (არგენტინა)	1645
15. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი)	1616
16. ფერნანდო გონსალესი (ჩილე)	1580
17. რობი ჯინეპრი (აშშ)	1480
18. დავიდ ფერერი (ესპანეთი)	1475
19. ნიკოლას კიფერი (გერმანია)	1440
20. ანდრე აგასი (აშშ)	1405

ATP-ის საჩემპიონო რბოლა

1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	1017
2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი)	735
3. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია)	375
4. დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	355
5. მარიო ანჩიჩი (ხორვატია)	318
6. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი)	309
7. ტომი რობრედო (ესპანეთი)	292
8. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი)	288
9. რადეკ სტეფანეკი (ჩეხეთი)	268
10. ჯეიმს ბლეიკი (აშშ)	261
11. ტომი ჰაასი (გერმანია)	226
12. იარკო ნიემინენი (ფინეთი)	223
13. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)	199
14. დავიდ ფერერი (ესპანეთი)	194
15. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი)	167
16. ენდი როდიკი (აშშ)	166
17. გასტონ გაუდიო (არგენტინა)	157
18. ოლივიე როხუსი (ბელგია)	156
19. ნიკოლას კიფერი (გერმანია)	153
20. ფერნანდო გონსალესი (ჩილე)	150

რეტროსკადი

ფილიპუსისის ყუმბარები ნიუპორტში აფეთქდა

კაცები
ნიუპორტი. აშშ. ბალახი.
საპრიზო 355 000 $

ფინალი
მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — ჯასტინ გიმელსტობი (8, აშშ) 6:3 7:5

სამწლიანი გვალვა მარკ ფილიპუსისმა ნიუპორტში დაასრულა. ავსტრალიელ ვეტერანს 2003 წლიდან, შანხაიში გამარჯვების შემდეგ არ მოეგო ტიტული. ოზმა ეს გრძელი სერია გასულ კვირას შეწყვიტა და ჯასტინ გიმელსტობს ძალიან დამაჯერებლად მოუგო.

მრავალნატანჯმა და ტრავმებით განაწამებმა ფილიპუსისმა მთელი ტურნირი ერთი ამოსუნთქვით გაწვლო და დამსახურებულადაც იმარჯვა. ჩოგბურთის ერთ-ერთმა უძლიერესმა არტილერისტმა ნიუპორტში გაიხსენა თავისი ხელობა და სხვებსაც შეახსენა, თუ რამდენად რთულია მისი „ყუმბარების“ მოგერიება. სწორედ ამიტომაც იყო, რომ ავსტრალიელს ტურნირზე საკუთარი მოწოდება არ დაუთმია.

— თავს ისევე ვგრძნობ, როცა პირველად მოვიგე ტიტული — ხარობდა 29 წლის „სკადი“ — ყოველთვის ვამბობდი, რომ ჯანზე ყოფნა უმთავრესია. როცა ტრავმა არ გაწუხებს, შენს გემოზეც თამაშობ და ხალისიც არ გაკლია. აქ მთელი კვირა კარგი თამაში ვაჩვენე და, საბედნიეროდ, ტრავმებიც წარსულს ჩავაბარე.

ეს ფილიპუსისის კარიერაში მოგებული მე-11 ტიტული იყო. სულ კი ბერძნული წარმოშობის ოზს 22 ფინალში უთამაშია, მათ შორის აშშ-ს ღია პირველობისა და უიმბლდონის ფინალებში.



ჯასტინ გიმელსტობისთვის კი 11-წლიანი კარიერის განმავლობაში ეს პირველი ფინალი იყო. ამერიკელს ბევრი არაფერი ეთქმოდა და ჯენტლმენურად ესღა განაცხადა:

„ზოგადად ჩოგბურთისთვის კარგია მარკის დაბრუნება, ის ხომ ბალახზე ერთ-ერთი საუკეთესო მჩოგნეა“.

ბაჩა ლომჯაშვილი

ახალი სახელები დიდების დარბაზში

შაბათს როდ-აილენდზე, ქალაქ ნიუპორტში, ოფიციალურად გაფორმდა და აღინიშნა ის, რაც ჯერ კიდევ იანვრიდან იყო ცნობილი — პატრიკ რაფტერი, გაბრიელა საბატინი და ჯანი კლერიჩი ჩოგბურთის დიდების დარბაზში შეიყვანეს და ახლა მათი სახელები სპორტის ამ სახეობის ლეგენდათა და მოამაგეთა გვერდით მოიხსენიება.

აშშ-ს ღია პირველობის ორგზის გამარჯვებული (1997, 1998) რაფტერი ჩოგბურთის ერთ-ერთი სახე გახლდათ თითქმის ათწლეულის განმავლობაში. ბადესთან თამაშის დიდოსტატი ოზი შემტევი ჩოგბურთის ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰიკანი იყო.

არანაკლებ ცნობილია გაბრიელა საბატინიც, რომელმაც მხოლოდ ერთი სლემტურნირი — ასევე აშშ-ს ღია პირველობა მოიგო (1990). რაც შეეხება ჯანი კლერიჩის, ეს იტალიელი აგერ უკვე 40 წელია, რაც ჩოგბურთზე წერს და ერთ-ერთი ყველაზე უფრო დაფასებული კომენტატორი და ჟურნალისტია.

ვხედავთ ევროპას, გვესმის აზია

2006 წლის საუკეთესო ქალთა ნაკრები ევროპული იქნება, რაც კვირას ოფიციალურად გაფორმდა — ფედერაციის თასის ფინალში ერთმანეთს ბელგია და იტალია დაეტაკებიან.

იტალიელებმა სარაგოსაში საკმაოდ იოლად მოუგეს მასპინძლებს. ამან ესპანელები იმდენად გაანაწყენა, რომ მათ წყვილთა მატჩის თამაშიც კი არ მოინდომეს.

აპენინელებისთვის კი ეს მართლაც დიდი მიღწევაა — მათ აქამდე ფედერაციის თასის ფინალში ერთხელაც არ უთამაშიათ. ახლა კი შანსი აქვთ საუკეთესო ნაკრების ტიტული მოიპოვონ.

იტალიელთა წარმატებები ლიდერთა დუეტის — ფრანჩესკა სკიავონესა და ფლავია პენეტას კარგმა თამაშმა განაპირობა.

ასე რომ, ფინალს იტალიელები სერიოზული მიზნებით ხვდებიან, თუმც მათ არც მეტოქე ეყოლებათ ჯაბანი. მით უმეტეს, თუ ბელგიელებმა უძლიერესი შემადგენლობა შეკრიბეს — საეჭვოა, ჟუსტინ ენენ-არდენსა და კიმ კლაისტერსს ვინმე გადაელობოს.

თუ რომელიმე მათგანი ტრავმას მიიღებს, ბენილუქსელებს ვერც ეს შეაშინებთ — გასულ უქმეებზე კრისტენ ფლიპკენსმა ყველას დაუმტკიცა, რომ საჭიროების შემთხვევაში ენენსაც ღირსეულად შეცვლის და კლაისტერსსაც.

ამიტომაც ფინალს გამოკვეთილი ფავორიტი ეყოლება — ბელგია ყველანაირად ეცდება, საუკეთესო ნაკრების სტატუსი დაიბრუნოს.

ფინალამდე ჯერ შორია. შაბათ-კვირას კი ნახევარფინალების გარდა იმ ნაკრებთა ვინაობა გაირკვა, ვინც 2007-ში მსოფლიოს ჯგუფში ითამაშებს. ნახევარფინალისტების გარდა ეს უფლება საფრანგეთმა, რუსეთმა, ჩინეთმა და იაპონიამ მოიპოვეს.

უფრო სწორად კი, აზიელებმა მოიპოვეს, ევროპელებმა კი მსოფლიო ჯგუფში თავიანთი ადგილები შეინარჩუნეს. ჩინეთი და იაპონია პირველად ალზევდნენ მსოფლიო ჯგუფში. ჩინელებმა უიმბლდონის მეოთხედფინალისტის ნა ლის და ორგზის სლემტურნირის მომგები წყვილის — ჯი იანისა და ჟი ჟენგის კარგი თამაშით გერმანელებს პეკინში 4:1 გადაუარეს.

იაპონელებმა კი ძალიან თანაბარი და საკმაოდ ბრძოლისუნარიანი ნაკრები შეკრიბეს — აკიკო მორიგამი, აიკო ნაკამორა, აი სუგიამა და შინოგუ ასაგოე. ამათგან ვარსკვლავი არც ერთია, მაგრამ ყველა საკმაოდ კარგი ჩოგბურთელია და ბევრის გამწარებასაც მოახერხებენ, ორიოდე დღის წინ კი მათ მშობლიურ ტოკიოში ავსტრია 5:0 გაანადგურეს.

ბაჩა ლომჯაშვილი

კობა კუპატაძისთვის კალაჩი კულიჩია

გუშინდელი ვაიბალანსი: ერთი მოგება, ორი წაგება

ბულგარეთში მიმდინარე მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატზე გუშინ კიდევ სამმა ქართველმა ჩაატარა პირველი წრის შეხვედრა. რინგზე გიორგიკილანავა (51კგ), კობა ფხაკაძე (57კგ) და კონსტანტინე კუპატაძე (60კგ) ავიდნენ. მომდევნო ეტაპის საგზური კი მხოლოდ კუპატაძემ გაინაღდა. საქართველოს ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ჩეხი მარტინ კალაჩი მესამე რაუნდში აშკარა უპირატესობით დაამარცხა. კილანავამ ბულგარელ სალიმ სალიმოვთან დიდი სხვაობით წააგო — 17:43, ფხაკაძემ კი სომეხ ედგარ მანუკიანთან — 17:31.

ერთადერთი ჩვენებური, რომელიც ჩემპიონატში ჯერ არ ჩართულა, ევროპის ვიცე-ჩემპიონი ნიკოლოზ იზორიაა (54კგ). იგი დღეს სომეხ ანდრანიკ ჰაკობიანს მოუღერებს მუშტს. დღესვე რევაზ ქარელიშვილი (75კგ) უკვე მეორე წრის შეხვედრას ჩაატარებს სერბ ანდრეა ბოგდანოვიჩთან და თუ მოუგო, მეოთხედფინალის საგზურს გაინაღდებს.

ოთარ გაღლაკელიძე

სამოსანი რუსი და ქართული ფრიადი

ხაკუხოს ფიქრები: იოკოძუნა ვიქნები?

ივლისის ბაშოს ცხრა ტურის შემდეგ ერთპიროვნული ლიდერი ჰყავს. იმპერატორის თასისკენ წაუგებელი, მხოლოდ იოკოძუნა ასასიორუ მიიწევს. სუმოს მთავარი ჯილდოს 16-გზის მფლობელი მონღოლი „ცისფერი დრაკონი" ისეთ ფორმაშია, საეჭვოა, ეს უპირატესობა ხელიდან გაუშვას.

გუშინდლამდე ასპროცენტიანი შედეგით ოძეკი ტოჩიაძუმაც იწონებდა თავს, მაგრამ ოძეკივე ტიოტაიკისთან წაიფორხილა და იოკოძუნას ნაბიჯით ჩამორჩა. რვაქულიანთა ჯგუფში ტოჩიაძუმას და ტიოტაიკის გარდა რიგითი მაეგაშირები, ტამანოსიმა და ტამაკასუგა გამაგრებულან. მეცხრე ტურამდე ამ ჯგუფში იყო გაიოკოძუნების კანდიდატი ოძეკი ხაკუხოც. გუშინ კი მეორედ დაუცდა ფეხი და იმპერატორის თასს ვინ ჩივის, იოკოძუნად გახდომის შანსიც მინიმუმამდე შეიმცირა.

ჯერ კიდევ ბაშოს დაწყებამდე თეთრ ფენიქსად მონათლულ ხაკუხოს მწვრთნელებმა მიზნად 13 ქულის აღება დაუსახეს. წინასწარი გათვლით, მხოლოდ ამ შემთხვევაში მიანიჭებდნენ 21 წლის მონღოლს ასასიორუს ხაკუხომ ტოლ-სწორ წოდებას. მოულოდნელად პირველსავე ტურში წააგო და გულშემატკივრები ააფორიაქა, მაგრამ მერე მერვე ტურამდე სულ მოგებებით მივიდა. მეცხრეში კი... ფინიშამდე ექვსი ტურია და ხაკუხოს ქულათა მაქსიმუმის აღების შემთხვევაში ნანატრი 13 უგროვდება, თუმცა მისი გაიოკოძუნების უკვე ცოტას თუ სჯერა. მონღოლის მორიგი მეტოქეები ოთხი ოძეკი, ესტონელი გიგანტი ბალტი და ასასიორუ იქნებიან.

ბალტის ანგარიშზე ექვსი ქულაა. სეკიტორმა, რომელიც უმაღლეს დივიზიონში მხოლოდ მეორე ბაშოს ატარებს, გუშინ ნატვრა აისრულა — თავისზე მაღალ მეტოქეს დაეჭიდა. ესტონელი 197 სანტიმეტრია, ბალკანელ გულივერად წოდებულ ბულგარელი კოტოოსიუკი — 203. გოლიათების რკენა ბალტის გამარჯვებით დასრულდა.

ბოლო ტურებში ერთი საინტერესო ამბავიც მოხდა. „რუსული ფენიქსი" როხო სუმოს ასოციაციის დირექტორთა საბჭომ სამშეხვედრიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. სპეციალური სხდომა მისი და ოძეკი ტიოტაიკაის ბრძოლისშემდგომ კონფლიქტს მოჰყვა. ხალიჩიდან მაყურებლებში გადატყორცნილმა როხომ და ტიოტაიკაიმ ლამის ხელჩართული ბრძოლა გააჩაღეს. მერე კი ანერვიულებულ რუსს გასახდელში კარის მინები ჩაულეწავს. სასჯელი უფრო მკაცრი იქნებოდა, მოგვიანებით ბოდიშები რომ არ ეხადაო, იტყობინება ბაშოს მიმომხილველი ერთ-ერთი ვებ-გვერდი.

ლევან ცაგურიაზეც ვთქვათ. მით უმეტეს, ბოლო სამ ტურში ისე იჭიდავა, მიმოხილვის დასაგვირგვინებლად სპეციალურად შემოვინახეთ. მეშვიდე-მეცხრე ტურებში კოკაიმ ერთმანეთის მიყოლებით მოუგო ექსკომუსური ტაკამისაკარის, 34 წლის ექსსეკივაკე ტასანოუმის და მაკუტის დებიუტანტ იოსიკაძეს. დღეს კი 175 კილოგრამიან ექსკომუსური ივაკიამას დაეჭიდება. „შავი ზღვის" ანგარიშზე ექვსი მოგება და სამი მარცხია.

ოთარ გაღლაკელიძე

ვალენტინოს მატრაკვეცული მატერაცობა

კვირას ზახსენრინგზე მსოფლიოს უძლიერესმა მოტომრბოლებმა გერმანიის დიდი პრიზი გაათამაშეს. ყველაზე პრესტიჟულ, 500 კუბურ სანტიმეტრიან კლასში, რომელსაც ბოლო ხანს მოტოჯიპის (ჯიპი — გრან პრი) უფრო უწოდებენ, მოიგო იტალიელმა სუპერმბოლმა ვალენტინო როსიმ.

წლეულს როსის მარჯვედ ვერ მისდის საქმე. მართალია, 10 რბოლაში 4 გამარჯვება მოუგროვდა, ამდენი სხვას არავის მოუგია, მაგრამ ჩავარდნებიც ჰქონდა, ბევრი ქულაც დაკარგა, რის გამოც ერთი ხანობა მისთვის შეუფერებელ მე-6 ადგილზეც მიჩანჩალებდა, მაგრამ მოახერხა და ფეხზე წამოდგა. გერმანიის დიდი პრიზის მოგების შემდეგ კი დანი პედროსა მე-3 ადგილზე ჩაანაცვლა, თავად 26 ქულამდე მიუახლოვდა საერთო ჩათვლის ლიდერს, ამერიკელ ნიკი ჰეიდენს. ეს სხვაობა სავსებით დაძლევადი ჩანს, მით უფრო, რომ სეზონის ფინიშამდე 7 ეტაპი რჩება, გამარჯვება კი 25 ქულად ფასობს.

ნიკი ჰეიდენი არც ისე ნიჭიერ მრბოლად ითვლება, წლეულს მხოლოდ ერთი დიდი პრიზი მოიგო, მაგრამ, სამაგიეროდ, სტაბილურია და 10-ვე რბოლაში მოახერხა ქულების შოვნა, 8-ჯერ კი პოდიუმზე იდგა. ახლა მას მესამე ადგილი შეხვდა.

როსის კი ყველაზე დიდი წინააღმდეგობა გაუწია თანამემამულე მარკო მელანდრიმ, რომელიც გამარჯვებულს მხოლოდ 0,145 წამით ჩამორჩა.

როსიმ გამარჯვება, როგორც სჩვევია, ექსტრავაგანტულად აღნიშნა, თავისებურად დაუჭყიტა თვალები ფოტორეპორტიორებს, პრესკონფერენციაზე კი ზიდანისგან გალახული მარკო მატერაცის მაისურით და ერთობ კმაყოფილი სახით გამოცხადდა.

250 კუბურ სანტიმეტრში იმარჯვა იაპონელმა იუკი ტაკაჰასიმ, საერთო ჩათვლაში კი ესპანელი ხორხე ლორენცო დაწინაურდა — ლორენცოს გერმანიაში მესამე ადგილი და 16 ქულა შეხვდა, საერთო ჩათვლის ძველ ლიდერ ანდრეა დოვიზიოსოს კი 13. ჰოდა, ვინაიდან ეს უკანასკნელი მხოლოდ ქულით ლიდერობდა, საჩემპიონო დავაში 2 ქულით წინ გაუშვა ლორენცო.

ყველაზე მსუბუქ, 125 კუბურ სანტიმეტრიან კლასში უდაბნულესი ბრძოლა გააჩაღეს იტალიელმა მატია პასინიმ და ესპანელმა ალვარო ბატისტამ. პირველმა წკიპზე, 0,01 წამით მიასწრო მეორეს და გამარჯვებაც იზეიმა, მაგრამ საერთო ჩათვლაში ამით ბევრიც ვერაფერი შეცვალა. 10 დიდი პრიზიდან 4-ის მომგები და კიდევ 5-ჯერ პოდიუმზე ასული ბატისტა უახლოვეს მდევარს 64 ქულით უგებს და ჩემპიონატის ტიტულიც თითქმის განაღდებული აქვს.

ძოტე ყორშია

მესნერის ნაკვალევზე

ბრძოლა თოთხმეტი ბუმბერაზისთვის

მას შემდეგ, რაც იტალიელმა მთამსვლელმა რაინჰოლდ მესნერმა დედამიწის თოთხმეტივე მწვერვალი დალაშქრა, მისმა ამგვარმა მიღწევამ ბევრს საღერღელი აუშალა. ამ საქმის დაგვირგვინებას განსაკუთრებით ჩქარობდა პოლონელი ეჟი კუკუჩკა, რომელმაც თოთხმეტივე რვაათასიანის კოლექციას მესნერზე ერთი წლით გვიან, მეორემ მოუყარა თავი. თუმცა კუკუჩკამ ეს საქმე რვა წელიწადში მოათავა მაშინ, როცა მესნერმა ორჯერ მეტი დრო დაკარგა. ისიც სათქმელია, რომ მესნერი იმ რვაათასიანთაგან რამდენიმეზე ორ-ორჯერ ავიდა, კუკუჩკა კი — თითოჯერ.

მას მერე თოთხმეტივე რვაათასიანი სულ ათმა დალაშქრა, ოღეისთვის კი მიზანთან ყველაზე ახლოს კიდევ სამი-ოთხი კაცია, რომლებსაც სრული კომპლექტის შესაგროვებლად თითო მწვერვალი დარჩენიათ. მათ შორისაა პოლონელი პეტერ პუსტელნიკი, ვინც რამდენიმე დღის წინათ თავის მეცამეტე რვაათასიან ბროუდ პიკზე ავიდა. ამ პოლონელმა იმ განიერი პიკის კენწეროს სლოვენიელ პეტერ ჰამორთან ერთად მიაღწია, რომელმაც რამდენიმე წლის წინათ ყარაყორუმის მთებში მეტად რთული და უნიკალური კლდოვანი მარშრუტის გავლისთვის „ოქროს წერაყინი" დაიმსახურა.

თავად პუსტელნიკმა ლაშქრობამდე ერთი თვით ადრე განაცხადა, „თოთხმეტი მწვერვალის" პროგრამის დასრულებაზე ხელი უნდა ავიღო, რადგან ანაპურნაზე, რაც ჩემს კოლექციას აკლია, სამი ექსპედიცია წარუმატებელი გამოდგაო.

პუსტელნიკის ასვლიდან რამდენიმე დღის მერე თავისი მეთორმეტე რვაათასიანი დალაშქრა კიდევ ერთმა ცნობილმა მთამსვლელმა პეტრ მორავსკიმ.

ეს სლოვაკი ალპინისტი თავდაპირველად პუსტელნიკთან ერთად ბროუდ პიკზე ადიოდა, მაგრამ მერე იქიდან ჩამომავალ, ხიფათში ჩავარდნილ ავსტრიელ ზეპ ბახმაიერს საბაზო ბანაკში ჩამოსვლაში დაეხმარა. ამის მერე პეტერ მორავსკი კვლავ მწვერვალისკენ დაიძრა და მიზანს მიაღწია.

საინტერესოა, რომ თოთხმეტივე რვაათასიანზე ასვლამდე მორავსკივით ორ-ორი მწვერვალი კიდევ ხუთიოდე კაცს აშორებს. მათ მოჰყვება კიდევ ამდენივე, რომელთა კოლექციაში თერთმეტ-თერთმეტი რვაათასიანია, ათ-ათი ბუმბერაზი კი კიდევ ათამდე კაცს დაგროვებია.

მათ შორის უხუცესი, ვინც თოთხმეტივე ბუმბერაზი დალაშქრა, გახლავთ იტალიელი სერჯიო მარტინი, რომელმაც ასეთი მიზნის მიღწევას ყველაზე მეტი დრო, მთელი 24 წელიწადი მოანდომა. ბოლოს ეს საქმე 1999 წელს დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ევერესტზე (ჯომოლუნგმა, საგარმატხა)ასვლით დაადგვირგვინა, როცა 50 წლისა ხდებოდა.

აღსანიშნავია, რომ სერჯიო მარტინი მაშინ ევერესტზე რამდენიმე კაცთან, მათ შორის ჩვენს ირაკლი ციხისელთან, მერაბ ხაბაზთან და ირაკლი უგულავასთან ერთად ავიდა.

ავთანდილ ბუკვიშელი

მსოფლიოს ჩემპიონატი. მეათე ეტაპი

გერმანიის დიდი პრიზი. ასფალტი — 3,671 კმ

მოტო გრან პრი — 110,1 კმ

1 ვალენტინო როსი (იტალია, იამაჰა)	41 წთ;	59,2
2 მარკო მელანდრი (იტალია, ფორტუნა ჰონდა)	ჩამორჩა	0,1
3 ნიკი ჰეიდენი (აშშ, რეპსოლ ჰონდა)		0,3

საერთო ჩათვლა

1 ჰეიდენი 169 ქულა; 2 როსი 143; 3 დანი პედროსა (ესპანეთი, რეპსოლ ჰონდა) 140; 4 მელანდრი 134; 5 ლორის კაპიროსი (იტალია, დუკატი მარლბორო) 118

250 სმ³ — 106,5 კმ

1 იუკი ტაკაჰასი (იაპონია, პუმანჯესტ ჰონდა)	41 წთ;	30,4
2 ალექს დე ანჯელისი (სან მარინო, ასპარ აპრილია)	ჩამორჩა	0,1
3 ხორხე ლორენცო (ესპანეთი, ფორტუნა აპრილია)		1,0

საერთო ჩათვლა

1 ლორენცო 174 ქულა; 2 ანდრეა დოვიზიოსო (იტალია, პუმანჯესტ ჰონდა) 172; 3 იუკი ტაკაჰასი 133; 4 დე ანჯელისი 131; 5 ჰიროსი აოიამა (იაპონია, რედ ბულ KTM) 116

125 სმ³ — 99,1 კმ

1 მატია პასინი (იტალია, ასპარ აპრილია)	39 წთ;	44,1
2 ალვარო ბატისტა (ესპანეთი, ასპარ აპრილია	ჩამორჩა	0,1
3 ლუკაშ პეშეკი (ჩეხეთი, ასპარ აპრილია)		0,1

საერთო ჩათვლა

1 ბატისტა 205 ქულა; 2 მიკა კალიო (ფინეთი, რედ ბულ KTM) 141; 3 პასინი 137; 4 ექტორ ფუბელი (ესპანეთი) 123; 5 სერხიო გადეა (ესპანეთი, ასპარ აპრილია) 120

ფინქ ფერარი

AFP მანი კურნიდან

საფრანგეთის დიდ საფორმულე პრიზამდე „ფერარის“ ხალხი, ჟან ტოდტი (შუაში) და მიხაელ შუმახერი ლეგენდარულ ფინქფლოიდელს როჯერ უოტერსს შეყრია და მისგან საჩუქარიც მიუღია: ავტოგრაფიანი ბას გიტარა.

მეპრძოლი სამშობლოში



AFP ბულონ-სიუ-მერიდან

ფრანკ რიბერი ახლა გმირია. განსაკუთრებით მშობლიურ ქალაქ ბულონ-სიუ-მერში, სადაც ფრანგთა ნაკრების სახენაიარევი მეომრის დასახვედრად მთელი ქალაქი გამოეფინა.

ქალთა კრივობა

AFP ლე კანედან

ქალთა კრივი ევროპასაც მოედო. ფრანგულ ქალაქ ლე კანეში საჩემპიონო ბრძოლაც კი ჩატარდა. იქაურმა მირიამ ლამარმა და პუერტორიკოელმა ბელინდა ლარაკუენტემ ერთმანეთი დაასიეს. არ ვარგა ეს საქმე.



AFP



AFP

ტურის გზაზე

ჩამოცხა სამხრეთ საფრანგეთის მთებში: „ტურ დე ფრანსს“ კი, აბა, რა გააჩერებს?! ეს გოგო? თუ ეს შილიფად მყოფი ქომაგები? არა, რკინის ცხენები გზას აგრძელებენ.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო აზვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალაკვლიძე, ირაკლი პერტაია, ზაზა სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაб წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge